# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

№ 13 (5614)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.





## „სამარცხვინო ლაქა“, „ჯალათი“, „ოჯახური კლანი“, „ქოსატყუილა“...

2




## ელჩი ერევნის გავლით დაგვიბრუნდა



10

## „ვერ გავიყრებით ვერც ეკონომიკურად, ვერც სულიერად“

7

## რა ელით საბავშვო სახლების აღზრდილებს?..

2

7

## როცა თავის სორო მიმართულებასაც არ იცვლის

SIC!

12

## მალე ოფიციანტების ქვეყანა ვიქნებით

## „ერთადერთი ენა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ, ეს არის მშვიდობის ენა“

10





16

## კვირიკაძემ რიაზანოვს სცენარი დაუწერა

## თამარ გვერდწითელის სიზმრები



14

● „თავისუფლების ინსტიტუტს“ რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ „ოჯახური კლანი“ შეარქვა, ეს ქართველი ხალხის, ქვეყნის, მისი ხელისუფლების დამცირება და აბუჩად აგდებაა





◉ ხალხის აზრი

# „სამარცხვინო ლაქა“, „ჯალათი“, „ოჯახური კლანი“, „ქოსატყუილა“...

**მართალია, ჩვენი საზოგადოება ცალკეული ინდივიდებისა და ორგანიზაციებისგან შედგება, მაგრამ, როცა ოპოზიციური არასამთავრობოები, თუნდაც 40 (ორმოცი!) „გაერთიანებისთვის“ იმთავითვე უარყოფითი პასუხისთვის განწირულ კითხვას რომ დასვამს, სიმართლე კიდევ ერთხელ იჩაგრება.**



**არადა, სამართლებრივ სახელმწიფოში, წესით და რიგით, ყველაფერს სახალხო რეფერენდუმი, უბრალოდ – ხალხი უნდა წყვეტდეს და არა ცალკეული ჯგუფების მიკერძოებული გამოკითხვა.**

სამწუხაროდ, ასეთი დასკვნა გამოვიტანე არასამთავრობო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩატარებული საგანგებო გამოკითხვის შედეგების გაცნობისას.



გამოკითხვამ 2006 წლის ის ათი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა და პერსონა გამოავლინა, რომლებმაც დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში (ჩვენში ხომ ყველაფერი პოლიტიზებულია!) დადებითი ან უარყოფითი როლი ითამაშეს.

ათი ნომინაციიდან მარტოოდენ ერთ მოვლენას ერგო დადებითი, პოზიტიური პასუხი. გამოკითხულთა ერთსულოვანი აღიარებით, დადებით მოვლენად შეფასდა **საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა.**

კიდევ კარგი! რუსის ჯარი რამდენიმე წელიწადია ზლაზვნით გადის საქართველოდან. პროცესი 2008 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. 2006 წლის ყველაზე სახელმწიფოებრივი, ეროვნული მოვლენა კი, ჩემი აზრით, იყო **კოდორის ხეობის გაწმენდა კრიმინალებისგან და აფხაზეთის ტერიტორიის ერთი მესამედის შემომტკიცება დედასაქართველოსთან.** საბედნიეროდ, აფხაზი სეპარატისტების გულის გასახეთქად, ევროს უშიშროების საბჭო და ევროკავშირი მხარს უჭერენ საქართველოს ამ „ოპერაციას“ და ერთმნიშვნელოვნად ამბობენ: **აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია და თბილისი სწორად მოიქცა, როცა ხეობაში წესრიგი აღადგინა და იქ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება დასვაო!**

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რომ 2006 წელს საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი დაუთმო რუსეთს და ბოლომდე ჩამოხადა ნიღაბი პუტინის პოლიტიკას. როგორც ამას წინათ ერთი გავლენიანი ბრიტანული გაზეთი წერდა, **საქართველომ დაამტკიცა, რომ მას რუსეთის გარეშე ცხოვრება შეუძლია!..**



ამით ყველაფერია ნათქვამი.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ იმ ცხრა ნომინაციას, რომელიც ჩვენი ხელისუფლების უარყოფით მხარეებს ააშკარავებს.

**2006 წლის ყველაზე ტრაგიკული მოვლენა – სანდრო გირგვლიანის მკვლელობა.**

**წლის უარყოფითი მინისტრი – ვანო მერაბიშვილი.**

**წლის სასამართლო სისტემის „სამარცხვინო ლაქა“ – სანდრო გირგვლიანის პროცესის მოსამართლე გიორგი ჩემია.**

**წლის „ჯალათი“ – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია.**

**წლის ანტიპათია – პარლამენტარი გიგა ბოკერია.**

**„რუხი კარდინალი“ – „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი.**

**„ოჯახური კლანი“ – „თავისუფლების ინსტიტუტი“.**

**წლის „ქოსატყუილა“ – საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

**წლის „ცარიელი ადგილი“ – დეპუტატი ელენე თევდორაძე.**

მკითხველი მიხვდება, რომ პირველი ოთხი კითხვა, ისევ და ისევ, სანდრო გირგვლიანის შემზარავი მკვლელობიდან მომდინარეობს და, სრულიად სამართლიანად, გამოკითხულნიც მწვავედ რეაგირებენ. მათი პასუხები, ჩემი შეხედულებით, ყურად უნდა იღონ კონკრეტულმა ადრესატებმა, რომ საზოგადოებისგან ბოლომდე გარიყულნი არ აღმოჩნდნენ.



დანარჩენი კითხვები და მათზე პასუხები ხუმრობა და „ლადავი“ უფროა, ვიდრე სერიოზული შეფასება-ანალიზი. თუმცაღა, ხომ კარგად ვიცით – ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, შიგ ნახევარზე მეტი სიმართლე არ ერიოსო... **„თავისუფლების ინსტიტუტს“ რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ „ოჯახური კლანი“ შეარქვა, ეს ქართველი ხალხის, ქვეყნის, მისი ხელისუფლების დამცირება და აბუჩად აგდებაა.** „თავისუფლების“ სახელით, ვიღაც გადამთიელის მილიონებით ნასაზრდოები „ინსტიტუტი“ ძირს უთხრის და ასამარებს ყოველივე ეროვნულს, ქართულს.

ჩვენ კი, ამას გულდინჯად ვითმენთ და ოდენ „ოჯახური კლანის“, მისი ხელმძღვანელისთვის კი „რუხი კარდინალის“ შერქმევით ვკმაყოფილდებით!

მსგავსი „თამაშებით“ არაფერი გამოვა!

არც ის უშველის საქმეს, გაშარჟებულ ნომინანტებს შესაბამის „სიგელებს“ რომ გადავცემთ!

მაგალითად, ქალბატონი ელენე თევდორაძე მორიგ „შაყირად“ აღიქვამს საკუთარ „ცარიელ ადგილს“ და იტყვის: **ცხრა მთავრობას მოვერგე, 15 წელიწადია პარლამენტში „რადიატორთან“ ვზივარ და... მე ვარ ცარიელი ადგილი?!**

**აი, მთავარი მაინც ის არის, პრეზიდენტი როგორ შეაფასებს თავის „ქოსატყუილობას“...**

**ალბათ, პასუხსაც არ გვაღირსებს. ტრადიციისამებრ, ვითომც, არაფერი გაუგია, არაფერი მოუსმენია, არაფერი წაუკითხავს...**

**ყველაზე არაადამიანური და შეუწყნარებელი სწორედ ეს ქრონიკული დაუნახაობაა...**

ისე, ამ გამომწვევი გამოკითხვის საინიციატივო ჯგუფში „თანასწორობის ინსტიტუტის“ („თავისუფლების ინსტიტუტში“ არ აგერიოთ!), „ახალგაზრდული ალტერნატივის“, „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებების დაცვისთვის“ და „ჰუმან რაიტს ვოტჩის“ წარმომადგენლები შედიოდნენ.

**სპარტაკ ქოზულია**

◉ ტელეხიდი

# უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვა – რა ელით საბავშვო სახლების აღზრდილებს?..

**საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის ოდნავ შეთბობის ფონზე გუშინ ტელეხიდი გაიმართა. ესეც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენის თავისებური ცდა იყო, სადაც ორივე ქვეყნის ყველაზე საჭირბოროტო, უმწვავეს სოციალურ საკითხზე – „ბავშვთა მდგომარეობა საქართველოსა და რუსეთის ბავშვთა სახლებში“ – მსჯელობდნენ.** ტელეხიდით თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრ „რია ნოვოსტიში“ გაიმართა, მასში საქართველოდან მონაწილეობდნენ UNICEF-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში ჯოვანა ბარბარისი, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია, პროგრამა „ბავშვებზე ზრუნვის“ კურატორი ორგანიზაცია „ევრიჩაილდის“ ფილიალის ხელმძღვანელი ანდრო დადიანი. რუსეთიდან UNICEF-ის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასა და ბელორუსიაში კარელ დე როი და რუსეთის ფედერაციის დსთ-ის და ბალტიის ქვეყნების საერთაშორისო ამბების სააგენტო „რია ნოვოსტის“ მთავარი დირექციის დირექტორი ალან კასაევი.

შეხვედრის დასაწყისისთანავე ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა აღნიშნეს UNICEF-ის როლი ამ პრობლემის დაძლევაში. ორგანიზაცია, რომელიც 156 ქვეყანაში მუშაობს და ზრუნავს ბავშვების ჯანმრთელობასა და კვებაზე, წყლით უზრუნველყოფაზე, საბავშვო საბაზო განათლებაზე რუსეთსა და საქართველოშიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. ჯოვანა ბარბარისმა განაცხადა, რომ ორგანიზაციის შესაბამისი პროგრამით დახმარებას გაუწევენ იმ 5 ათას ბავშვს, რომლებიც საქართველოს ბავშვთა სახლებში იზრდებიან. მისივე თქმით, ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ბევრი სოციალური პრობლემის დაძლევას შეძლებენ.



ბელა წიფურიას მტკიცებით, სახელმწიფო ზრუნავს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე და მათ წელს დაენიშნებათ 150-ლარიანი დახმარება, რათა შვილების აღზრდა შეძლონ. ასე რომ, ბავშვთა სახლებში ნაკლებად იქნებიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც თუნდაც ერთ-ერთი მშობელი ჰყავს.

კარელ დე როიმ რუსეთის ბავშვთა სახლების მდგომარეობაზე ილაპარაკა და აღნიშნა, რომ 730 ათას ბავშვზე მეტი ცხოვრობს ბიოლოგიური მშობლების გარეშე. მათი 75 პროცენტი მეურვეთა ოჯახებშია, მაგრამ 120 ათასი ბავშვი მაინც მზრუნველობამოკლებულია და ბავშვთა სახლებში არიან. კარეი დე როიმ თქვა, რომ ბოლო 3-5 წლის განმავლობაში ბავშვთა სახლებიდან მშობლებს შვილები მიჰყავთ. ეს პროგრესი შეიმჩნევა რამდენიმე რეგიონში, მათ შორისაა სამარა, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი... აღსანიშნავია პრეზიდენტ პუტინის განკარგულება, რომლითაც ოთხ სამინისტროს დაევალა ამ პრობლემაზე მუშაობა. ყველაზე დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის დროსაც კი მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველ ბავშვებს ყურადღება მივაქციოთ.

ტელეხიდზე საქართველოს მხარე ბავშვთა სახლებში პატარების მიბარების მიზეზად მშობელთა სოციალურ მდგომარეობას ასახელებდა.

ბელა წიფურიას მტკიცებით, დაახლოებით 700 ბავშვი დაუბრუნდა ოჯახებს. საბავშვო სახლებში მყოფი 5000 ბავშვიდან კი 6 პროცენტს მშობლები არა ჰყავთ.

ტელეხიდისას ორივე ქვეყნის წარმომადგენელმა ბევრი იმსჯელა პროექტებზე, მომავალ სოციალურ დახმარებებზე, თუმცა „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვაზე, რა ბედი ელით ბავშვთა სახლებში აღზრდილებს, როცა ისინი სრულწლოვანებას მიაღწევენო, ვერც ერთმა ქვეყნის წარმომადგენელმა ვერაფერი უპასუხა... მხოლოდ კარელ დე როიმ მოახერხა სიტყვის ბანზე აგდება და ეს დაასკვნა, მთავარი ისაა, რატომ ხვდებიან დღეს ბავშვები ქუჩებში, ანდა ბავშვთა სახლებშიო...

**ოლღა ცისკარიშვილი**

◉ ინფორმაცია

## გაზაფხულზე შეხვედებით

**საქართველოსა და სომხეთს შორის კულტურათშორისი თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერა 2007 წლის გაზაფხულზე იგეგმება.**

როგორც სომხეთის კულტურის სამინისტროსა და ახალგაზრდულ საქმეთა პრესმდივანმა გაიანე დურგარიანმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას გასულ კვირას მიაღწიეს, როცა სომხეთის კულტურის მინისტრი ასმიკ პოღოსიანი საქართველოს პირველ ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვსს ერევანში შეხვდა.

გაიანე დურგარიანის თანახმად, ორივე მხარე მოცემული შეთანხმების პროექტს დამატებით განიხილავს. „ორმხრივი მოლაპარაკებების კვალდაკვალ უახლოეს მომავალში კულტურის სფეროში საქართველოსა და სომხეთის თანამშრომლობის კონკრეტულ პუნქტებსა და პრიორიტეტებს დააზუსტებენ“, – ხაზგასმით აღნიშნა დურგარიანმა. მანვე დასძინა, რომ შეთანხმების ხელმოსაწერ წინმსწრებ დოკუმენტთა სასწრაფო მომზადებისთვის მზადყოფნა ორივე მხარემ გამოთქვა.

– 2008-2009 წლებში სომხეთში საქართველოს კულტურის დღეების გამართვა იგეგმება. ასევე, დაგეგმილია საქართველოში სომხეთის კულტურის დღეების მოწყობა, – განმარტა დურგარიანმა.

**ჯი-ემ-ენი**



⊙ დაყავი და იბატონე

# როცა სხვას უთხრი ორმოს...

## „სომხური“ აფხაზეთი: სომხური პარლამენტი, სომეხი... პრეზიდენტი?

*კრასნოდარის მხარეში სომხები თურმე სხვადასხვა ბიზნესის 90 პროცენტს აკონტროლებენ. სოჭსა და ტუაფსეში კი უფრო მეტი სომეხია, ვიდრე რუსი. ამის გამო, იქაური რუსების საპროტესტო გამოსვლებიც იყო (ამას რუსეთის პრესა იუწყებოდა), ჩვენო, ფაქტობრივად, სომხის კურტნის მუშის ფუნქციაღა შეგვრჩაო. ახლა იგივე ემუქრებათ აფხაზებს. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ისინი, ალბათ, ე. წ. პოტიომკინის სოფლებივით, მხოლოდ ანტურაჟს შექმნიან. სახელდობრ კი, სომხების ბიზნესს იარაღით იცავენ, ანუ მათი დაქირავებულნი არიან და ოფიციალურ დონეზე ფართიფურთობენ. დიახ, კაბინეტები — და ისიც ჯერჯერობით — მათია, ფული კი, რაც რეალურ ძალაუფლებას იძლევა, თითქმის მთლიანად სომხების ხელშია. სიფრიფანად კი ჩამოუჭრიან ხოლმე საჭირო აფხაზებს, მაგრამ ეს რა სახსენებელია იმ მილიონებთან შედარებით, ციტრუსის, ხილის და, რაც მთავარია, საკურორტო ბიზნესს რომ მოაქვს. ჩვენთან ომის დაწყებამდე სულ 80 ათასი აფხაზი იყო. იმათაც ხომ კარგად მოაკლდათ — ზოგი დაიღუპა, ზოგიც არძინბას „სამოთხიდან“ გადაიხვეწა. რამდენიღა დარჩნენ? სომხები რიცხობრივად უკვე ბარე ორჯერ სჭარბობენ აფხაზებს. და, შეიძლება, მალე სულაც... კრასნოდარის, მოსკოვისა და ამერიკის სომხურმა დიასპორებმა უკვე ჩადეს ფული ზემოაღნიშნულ საქმეში. რაკი უზარმაზარი თანხები უყოყმანოდ გაიმეტეს, იგულისხმება, რომ აფხაზეთში იმათ თანამოძმეებს ერთობ ძლიერი პოზიციები აქვთ. სადაც და ვისთვისაც საჭიროა, არც ფული ენანებათ და სულაც იარაღით ამარაგებენ აფხაზეთის პრორუსულად განწყობილ ძალებს, რადგანაც რუსს უკვე ასეთი — სომეხ-აფხაზთა დაპირისპირება აძლევს ხელს.*

*არის კი ასეთი დაპირისპირება?*

სპეციალისტთა მტკიცებით, აფხაზეთის ე. წ. პარლამენტის 4 მარტის არჩევნები ობიექტურად რომ გაიმართოს, შესაძლოა, მომავალში აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტად... სომეხი მოგვევლინოს.

რანაირად და როგორ? მაშ, რისთვის იკლავენ თავს აფხაზები? ყველა საკვანძო თანამდებობაზე ხომ თავად იყვნენ გამოჭიმულნი, ფულიც ჩეჩქივითა ჰქონდათ, აქეთ — სახელმწიფო უნივერსიტეტი, იქით — ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, რადიო-ტელევიზია, შემოქმედებითი კავშირები... და სულ — აფხაზური და აფხაზურად. საბჭოთა კავშირში პროცენტულად ყველაზე მეტი წიგნი აფხაზურ ენაზე ისტამბებოდა. თუ გულში ჰქონდათ სომხების ჯამიტლეკიები ყოფილიყვნენ და სომეხ პრეზიდენტზე ელოცათ, გაემხილათ და, ჩვენი ბედოვლათობა რომ ვიცი, ვითომ რა, ძნელი დასაყაბულებელნი ვიქნებოდით?! ამდენი სისხლის ღვრა რაღა საჭირო იყო, საცა ამდენი, ამასაც როგორ დავუჭერდით. მით უფრო, თავიანთი ანგარიშით, ისედაც მათი ყოფილა.

სომხების შავიზღვისპირეთში ჩასახლება გუშინ და დღეს არ დაწყებულა. თბილისის თავზე გადახტომით მოსკოვში დიდძალი ფული ჩადიოდა და სომხობას აფხაზეთის (საქართველოსძ ზღვისპირეთში მართლაც საკურორტო პირობები ექმნებოდა. რუსის წაქეზებით ჩვენი სიძულვილით დაბრმავებული აფხაზობა კი, ოღონდ ქართველი როგორმე შეევიწროვებინათ, გადახვეწა აეძულებინათ, გულში იხუტებდა სომხობას. ახლა კი სომხები აფხაზეთის ე. წ. პარლამენტში 35 ადგილიდან, როგორც ამბობენ... 14-ს მოითხოვენ. აფხაზები ამას, რაღა თქმა უნდა, წინ აღუდგებიან — მართლაცდა სომეხთა გაბატონებისთვის ხომ არა გვჟუჟეს დედა-წულიანად?! ამაში მათ სომხებმა აჯობეს კიდეც. ეს კი სომხებს აყელყელავებს და ძირითად მტკიცებულებად სწორედ იმას იშველიებენ, ქართველებთან ომში აგერ, აფხაზეთის რამდენი გმირი გვყავს და ახლა უნდა გვიგანოთო?

ამ „ფოლადივით“ არგუმენტზე აფხაზები უხერხულად კი იშმუშნებიან, მაგრამ რეალობას საით წაუვლენ — აფხაზეთი მალე შეიძლება სულაც სომხური გახდეს. ამიტომაც ხლაფორთობენ თურქეთში მცხოვრები აფხაზების სასწრაფოდ ჩამოსასახლებლად. ზოგი მათი ე. წ. იდეოლოგი ამას უკვე ისტერიულადაც გაჰკივის, ხოლო ხაჯინბამ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ განაცხადა, მომავალში მხოლოდ სომხური ეთნოსი შეგვიქმნის პრობლემებსო. ამიტომაც იყო, ბაღაფში ცალკერძ რუსეთს ასოცირებულ წევრად მიღებას რომ შეჰღაღადებდა, ცალკერძ კი ცოცხალი თავით არ უნდოდა დიდრონი კომპანიების აფხაზეთში შესვლა — ეს კომპანიები ან სომხური იყო, ანდა იმათ ზურგს უკან სომხები იდგნენ.



სომხები აფხაზეთშიც ჭკუით ირჯებიან. ხომ ვიცით, ხაჯინბამ რაც თქვა მათზე, მაინც დიდძალი სომხობაა ვითომც მისი მხარდამჭერი. ბლომად სომეხი კი ასევე ვითომც შამბას „დოსტია“, ანუ პიროვნულად ვინც გინდა მოიგოს, ნამდვილად მოგებული მაინც სომეხი იქნება. მით უფრო, რომ სპეციალისტთა თქმით, სომხები აფხაზეთის ე. წ. პარლამენტში — 14-ს თუ არა, 10 მანდატს ნაღდად დაითრევენ. ამის ერთგვარი გარანტი ისიცაა, რომ სომხები ე. წ. აფხაზეთის პარლამენტში... „რუსეთის მოქალაქეთა კავშირიდან“ იყრიან კენჭს.

ვერც ხაჯინბამ და ვერც ბაღაფშმა ვერ გაამართლეს რუსეთის იმედები — მაინც ვერ შექმნეს ის გარემო, რუსეთი რომ მოითხოვდა მათგან (მეტი რაღა უნდა მოეთხოვათ!ძ. სავარაუდოდ, ჯიშმა იძალა — ხაჯინბაც და ბაღაფშიც აფხაზები არიან. თავიანთი ერისა სტკივათ, ბევრი იბრმავეს თვალი და იყრუეს ყური, მაგრამ ცხადზე უცხადესს ვერსად წაუვიდოდნენ — რუსეთისთვის სულერთია აფხაზი თუ ქართველი, მთავარი ინტერესია და, ამ ინტერესის გამო, ისევე გათელავს აფხაზს, როგორც ნებისმიერ სხვას. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გაუოჩნდნენ პატრონს და იმანაც მყისვე გამონახა მათი საწინააღმდეგო ძალა — სომხობა. „დაყავი და იბატონეს“ პრინციპია. ჯერხნობით რუსეთსაც ეს ძალზე აძლევს ხელს. ჯერხნობით სომხებსაც ძალზე აძლევს ეს ხელს. აფხაზები კი ჩიხში მოექცნენ — ფულის ბატონი სომხები თუ საკანონმდებლო ორგანოშიც გაბატონდნენ, აფხაზეთი, ფაქტობრივად, მათი იქნება. საამისოდ მათ ბაგრამიანის ბატალიონიც ჰყავთ.

თუ აფხაზებმა იძალეს, გამოცანა გერგებათ — ვის დაუჭერს მხარს რუსეთი?

**კონსტანტინე გურგენიძე**

*P. S. წერილის დასაწყისში აღვნიშნე, სოჭსა და ტუაფსეში რუსზე მეტი სომეხი სახლობს-მეთქი. ფულიც მათ ხელშია და მიწაც. ამის გამო რუსები საპროტესტო აქციებს მართავენ. რამდენჯერმე სისხლიც დაიღვარა. მაგრამ ვისი მიწისთვის ჩხუბობენ ისინი? ჩვენი, ისტორიული ქართული მიწისთვის. სოჭიც ქართულია და ტუაფსეც — ნიკოფსია. ეს არის გულზე რომ მხეთქავს...*

***კ. გ.***

⊙ ინფორმაცია

### ქართველები და რუსები ჟენევაში მოილაპარაკებენ

**ქართული მხარე მზად არის მოსკოვთან რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებისთვის, აცხადებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე.**

**მინისტრის თქმით, ექსპერტები ჟენევაში მიემგზავრებიან, სადაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება.**

**არველაძე ადასტურებს ქართული მხარის პოზიციას, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრებზე არსებულ საბაჟო-საკონტროლო პუნქტების ლეგალიზაციის შესახებ.**

**„ქართული მხარის მთავარ მოთხოვნად რუსული მხარისადმი ვმო-ში გასაწევრიანებლად, კვლავ კონფლიქტურ რეგიონებში,საქართველო-რუსეთის საზღვარზე უკანონოდ მოქმედი საბაჟო-საკონტროლო პუნქტების ლეგალიზაცია რჩება“, — აღნიშნავს არველაძე.**

### მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია

**მსოფლიო ბანკმა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ამ სფეროში ბანკმა საქართველოს მთავრობას გარკვეული რეკომენდაციები მისცა.**

**„ანგარიში მომზადდა მსოფლიო ბანკის მიერ, სადაც თავმოყრილია ის რეკომენდაციები, რომელიც, სასურველია, რომ საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში აღრიცხვისა და აუდიტის ისეთი სტანდარტები შემუშავდეს, რომელიც ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან იქნება შესაბამისობაში. ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიიღოს, რათა თავისუფლად გადაწყვიტოს, განახორციელებს თუ არა საქართველოში საკუთარ ინვესტიციას. ამისათვის კი გარკვეული სტანდარტებისა და კოდექსების შემუშავება უნდა მოხდეს, რაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის ერთობ მნიშვნელოვანია“,- განაცხადა საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა როი საუთვორსმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

⊙ აზრი

# „სარეაბილიტაციო“ ჟესტი?

**ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში გოჩა გვარამია მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოში რუსეთის ელჩის დაბრუნებისა, რუსეთის მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯია და სხვა არაფერი.**

ექსპერტის აზრით, რუსეთის ელჩის საქართველოში დაბრუნება პოლიტიკური ფარსია და მსოფლიოს თვალში რუსეთის ფედერაციის იმიჯის რეაბილიტაციის შემადგენელი ნაწილია.

„როგორც ცნობილია, კრემლმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 2007 წელს საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის შერყეული იმიჯის აღსადგენად ათობით მილიონ აშშ დოლარზე მეტის დახარჯვას აპირებს“, — ამბობს გოჩა გვარამია და დასძენს, რომ სწორედ ეს საკითხები განიხილა რუსეთის უშიშროების საბჭომ „ნოვო-ოგარევოში“ გამართულ თათბირზე და რუსეთის ელჩის საქართველოში დაბრუნებაც იქვე, რიგ მოსაზრებათა გამო გადაწყდა“, — ამბობს ექსპერტი და იმ მიზეზებს ასახელებს, რომელთა გამოც რუსეთმა ელჩი საქართველოში დააბრუნა და საქართველოს მიმართებით, რაღაც ნაბიჯები გადადგა.

**პირველი — თუკი საქართველო „ასეთი კეთილი ჟესტის“ შემდეგაც არ იტყვის უარს რუსეთთან დებატებზე და მეზობელს საკუთარ სამართლიან მოთხოვნებს წაუყენებს, ამით რუსეთი საქართველოს „არაადეკვატურ მოქმედებებს დაამტკიცებს“. ამით რუსეთი საქართველოს მიმართ განხორციელებულ საკუთარ მოქმედებებს გაამართლებს.**

მაგრამ, ქართულმა მხარემ რუსეთს დროებით, ასე ვთქვათ, დაუთმო და დებატებზეც უარი თქვა, ამით კი რუსეთს წაართვა არგუმენტი ქართული მხარის არაადეკვატურობის შესახებ. ახლა რუსეთმა უკვე კონკრეტული ნაბიჯებით უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველოსთან სიტუაციის ნორმალიზება მართლაც სურს.

მეორე — როდესაც ქვეყნიდან მეორე ქვეყნის ელჩს იწვევენ და დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს წყვეტენ დიდი ხნით, მსოფლიოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ეს ომის გამოცხადებად ფასდება. ეს კი რუსეთს არ აწყობს, ვინაიდან მას ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯი სურს რომ ჰქონდეს.

ასე რომ, აქ რუსეთის პრეზიდენტის კეთილი ნებაზე საუბარიც არ შეიძლება — ეს კარგად გათვლილი და პოლიტიკური ნაბიჯია.

„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ედუარდ კოკოითს ხვდება და ამ შეხვედრის დროს მას როგორც პრეზიდენტს ისე მოიხსენიებს. ლავროვმა ძალზე კარგად იცის, რომ არავითარი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა ბუნებაში არ არსებობს, ისევე როგორც მისი პრეზიდენტი და მით უფროსი „პრეზიდენტის საქმიანო ვიზიტი“. ამას გარდა, ახლახან სოჭში სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. კავშირგაბმულობის უწყებამ რუსეთის „როსპეჩატთან“ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც რუსეთმა სეპარატისტული აფხაზეთი რუსული პრესით რეგულარულად უნდა უზრუნველყოს. ამას გარდა, იმ შეხვედრაზე აფხაზეთსა და რუსეთს შორის საფოსტო ურთიერთობების გამყარებაზეც იმსჯელეს. ყოველივე ამას კი თუ ზედ დავუმატებთ პუტინისეულ მოსაზრებებს კოსოვოს სტატუსის უნივერსალობასთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ რუსეთი არა თუ „კეთილი ნების ჟესტებს ახორციელებს საქართველოსთან მიმართებაში, არამედ უხეშად განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასა და ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის განხორციელებას“, — ამბობს გოჩა გვარამია და დასძენს, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთი თავის იმიჯურ პოლიტიკას შეცვლის საქართველოს მიმართ არ აპირებს.

ჯი-ეიჩ-ენი

⊙ პარტიებსა და მოძრაობებში

### „ჭყონდიდელი“ მუშაობას გამოაცოცხლებს

**საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელი“ 2006 წელს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არც საწევრო შენატანები შეუკრებია და არც შემოწირულობები მიუღია (შესაბამისად, გასული წლის განმავლობაში მოძრაობას არანაირი ხარჯი არ გაუწევიაძ.**

2007 წელს „ჭყონდიდელი“, მისი ხელმძღვანელობის განცხადებით, თავის მუშაობას გამოაცოცხლებს, აქტიურად ჩაებმება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის სიტყვას იტყვის.

**საკ. ინფ.**

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

● დენთის კასრთან დიდი ხანია მიტანილია გაღვივებული პატრუქი. ცეცხლის წაკიდება კი, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, არც თუ ისე რთულია



№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

განსჯა

# ფაქტორი ნგრევისა თუ ფაქტორი შენებისა?

## სამხრეთ კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილენი პოსტკონფლიქტურ რეალობაზე მსჯელობენ

**ასე უკვე იყო არაერთხელ.**

ასე არის დღეს.

ასე იქნება ხვალაც.

აკი 1990-93 წლებშიც უმეტესად მეგობრების გვერდით დგომის სურვილი განაპირობებდა ქართული ჯარის ფორმირების უმთავრეს ხალხის რესურსს.

მეგობრების გვერდზე დგომა და დაღუპული მეგობრებისა თუ ახლობლებისათვის შურისძიების სურვილი.

ასე იქნება კიდევ იმიტომ, რომ ამას პერმანენტულად ხელს უწყობენ როგორც „ომის პარტია“ ქვეყნის შიგნით, ასევე, ძირითადად, „გარე მოთამაშეები“ და ამავდროულად რეგიონალური პოლიტიკის „ინსაიდერები“, რომლებიც წლების განმავლობაში ფაქტობრივად მართავდნენ ვითარებას ჩვენს კონფლიქტებში.

პერმანენტული ხელშეწყობა იწარმოებს მუდმივად როგორც ინფორმაციულ დონეზე, ასევე ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერითაც, ვინაიდან „კონფლიქტი“, მით უმეტეს, „შეიარაღებული კონფლიქტი“, ეს არის რეალური ბიზნესი მათთვის, ვინც დღემდე აწარმოებდა ჩვენი კონფლიქტების Conflict Management. როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, Conflict Resolution არც კი უწარმოებიათ.

**დენთის კასრთან დიდი ხანია მიტანილია გაღვივებული პატრუქი. ცეცხლის წაკიდება კი, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, არც თუ ისე რთულია.**

სწორედ შეიარაღებული კონფლიქტის ახალი ძალით განახლების საშიშროებამ განაპირობა ჩვენ მიერ ჩაფიქრებული პროექტის აქტუალურობა. ეს იგრძნობოდა ვეტერანებთან ყოველი შეხვედრის დროს თბილისში, ცხინვალში, ერევანში, ბაქოში.

როგორც შეიარაღებული კონფლიქტების აქტიური ფაზის შემდეგ განვლილმა წლებმა გვიჩვენა, კონფლიქტების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ მუშაობას, სრულად განკარგავდა სახელმწიფო პირამიდის მხოლოდ ზედა ჰორიზონტალები, ანუ სახელისუფლებო ელიტა.

ამასთან, ყველას კარგად ესმის, რომ თავად საზოგადოებას, ხალხს, გაცილებით ადვილად შეუძლია თუნდაც დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლებთან დაახლოების გზების მოძიება. გასაგებია, რომ ასეთ სერიოზულ, და უპირველესად, ფსიქოლოგიურად რთულ ნაბიჯს, ყველაფერთან ერთად, დრო ესაჭიროება.

განვლილი 15-17 წლის განმავლობაში კი, რაც სავსებით საკმარისი იყო ურთიერთშემხვედრი პირველი ნაბიჯების გადასადგმელად, იგრძნობოდა, რომ კონფლიქტების ზოგიერთი სუბიექტების ხელმძღვანელობა, სწორედ ურთიერთდაპირისპირებაში ჩათრეული მხარეების საზოგადოების წარმომადგენლების დაახლოებას უფრთხოდა.

**ისინი უფრთხოდნენ, და ახლაც უფრთხიან, „გაყინული“ კონფლიქტების მართვის სადავეების ხელიდან გაშვებას.**

მით უმეტეს, თუ ეს ეხებოდა „ექსკომბატანტებს“, ვინაიდან



ექსკომბატანტების შეხვედრა

კონფლიქტების მართული პერმანენტული რეესკალაციისთვის ყველაზე სასურველი რესურსი სწორედ ის ხალხია, ვინც საკუთარ ტყავზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე. ვინც უშუალოდ დაკარგა ახლობლები და მეგობრები.

კარგად დაუკვირდით ვითარებას კავკასიის გადაღმა, თუნდაც მოსკოვში, ან მსოფლიოს სხვა ქალაქებში, სადაც ერთად ცხოვრობენ ჩვენს რეგიონალურ კონფლიქტებში ჩათრეული საზოგადოებების წარმომადგენლები.

ჩვენი ეთნიკური კონფლიქტები სრულიადაც არ უშლის ხელს მათ ნორმალურ თანაცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ესე იგი პრობლემა არა კონფლიქტების ეთნიკურ წარმომავლობაშია, არამედ მათ წმინდა პოლიტიკურობაში. პრობლემა, რომლიდანაც აუცილებელია გამოსავალის ძიება.

შექმნილ ვითარებაში, როდესაც ფაქტობრივად ყველა დაპირისპირებულ მხარეს არსებობენ კონფლიქტების გარკვეულ „სიმხურვალეზე“ შენარჩუნებაში დაინტერესებული ძალები, მათთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია „ექსკომბატანტთა“ პოზიცია, და თუ რისი ძალა შესწევთ ამ უკანასკნელთ.

რეგიონში კონფლიქტური ვითარების შენარჩუნებაში „დაინტერესებულ“ ძალად, ძირითადად, ყველგან გვევლინება პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუნქტურები, რომლებიც საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის, უმეტეს შემთხვევებში, საფარად იყენებენ ეროვნულ და პატრიოტულ რიტორიკას.

ეს ძალები ვერ აცნობიერებენ, რომ საკუთარი ერისა და ქვეყნის სიყვარული მხოლოდ ამის ყვირილში არ გამოიხატება, მით უმეტეს, როცა ერსა და ქვეყანას მუდმივად ომისკენ მოუწოდებ, თავად კი, როგორც წესი, საომარ ბატალიებს მაღალი ტრიბუნიდან დირიჟორობ.

მათ ქმედებაში იგრძნობა ერთგვარი კოორდინირება, რომლის სათავეებიც აშკარად ჩრდილოეთისკენ მიდის.

ჩვენ შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილენი, უმეტესწილად ერთმანეთს იარაღის სამიზნეში ვხედავდით.

თითოეულმა ჩვენგანმა ამ ბრძოლებში დაკარგა ახლობლები და მეგობრები. არც თუ იშვიათად, ისინი ჩვენს მკლავებზე განუტევებდნენ სულს.

ყოველივე ეს უკვალოდ არ ქრება.

ჩვენ ბავშვები არა ვართ.

ჩვენ ცხოვრებით დაბრძენებული ხალხი ვართ, რაც გვავალდებულებს დავფიქრდეთ, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რათა მსგავსი აღარ განმეორდეს.

და გავაკეთოთ ისე, რომ არც ერს და არც ქვეყანას არ ვავნოთ.

ჩვეულებრივ, ომებზე საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობენ ისინი, ვისაც თავად არ უნახავს ომის საშინელებები, თავად არ გადაუტანია ომის თანმხლები უმძიმესი განცდები.

ისინი კი, ვინც ახლობლისა და თანამებრძოლის სისხლისა და სიკვდილის გარდა, პრაქტიკულად საკუთარ ტყავზე გადაიტანა ომის თანმდევი სიცივე, ტალახი, პოლიტიკოსების მხრიდან უმეტესწილად მხოლოდ „გამოყენებითი“ დამოკიდებულება და კიდევ ბევრი სხვა „სიბინძურე“, ნათლად ხედავენ ომის რეალურ შედეგებს.

ხედავენ, თუ რისთვის და საით მივყავართ ომის „დირიჟორებს“.

ჩვენთან, კავკასიაში, მიღებულია „ლამაზად“ საუბარი, ჩვენ ეს კარგად გვეხერხება.

ამასთან, თუ მოვახერხეთ კონკრეტული საქმის გაკეთებაც, თუნდაც „ნახევარი ნაბიჯის“ გადადგმა პოზიტიური შედეგით, მაშინ ჩვენს საქმიანობას, ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას ნამდვილად ექნება აზრი.

შევეცადოთ, ხელი შევუშალოთ შეიარაღებული კონფლიქტების განახლებას, ვინაიდან მისი ახალი ტალღა გაცილებით მძიმე შედეგებით დამთავრდება ჩვენი ერებისა და ქვეყნისთვის.

შედეგად– კიდევ უფრო დაშორდებიან ჩვენი საზოგადოებები ერთმანეთს, რითაც მოიგებს მხოლოდ ამ კონფლიქტების შემქმნელი „ჩრდილოელი დათვი“.

**„ჩრდილოელ დათვთან“ მიმართებაში.**

ხშირად ვახსენებთ სიტყვა „გენოციდს“, და მოვითხოვთ დამნაშავეთა დასჯას.

გეთანხმებით, გენოციდში დამნაშავენი უნდა დაისაჯონ საერთაშორისო კანონების მთელი სიმკაცრით. მით უმეტეს, გენოციდის რეალური „ავტორები“ და „ხელმძღვანელები“.

მაგრამ ვინ არიან ისინი?

ხშირად მოჰყავთ ისეთი ციფრები, როგორიც არის ქართულ-ოსური შეიარაღებული დაპირისპირების დროს დაღუპული 800 ოსი ეროვნების პიროვნება.

ეს ჩვენი სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ისიც ჩვენი რეალობაა, რომ პოსტკონფლიქტურ პერიოდში დაიღუპა თითქმის ორჯერ მეტი ოსი, ვიდრე შეიარაღებული დაპირისპირებების დროს (ეს რეალობა, მეტ-ნაკლები სიზუსტით, ეხება ყველას – ქართველებს, აფხაზებს, სომხებს, აზერბაიჯანლებს). ეს მსხვერპლი კი ძირითადად ომის შემდგომ პერიოდში განვითარებული შიდა კლანური დაპირისპირების შედეგია.

მაგრამ ამ ციფრებს ვერანაირად ვერ შეედრება ის მსხვერპლი, რომელიც მივიღეთ რამდენიმესაათიანი უგუნური სპეცოპერაციის შედეგად თუნდაც ბესლანში 2004 წლის 3 სექტემბერს.

დღეს ხშირად ლაპარაკობენ 20-იან წლებში ოსების გენოციდის საკითხზე. მაგრამ ვის მიერ, და ვისი ინტერესების გათვალისწინებით გაიღო იმ წლებში ოსმა ხალხმა ის მსხვერპლი?

ვიყოთ ერთმანეთის მიმართ გულახდილნი, მაგრამ ვიყოთ გულახდილნი საკუთარი ხალხის მიმართაც – ეს აუცილებელია.

მშვიდობისმყოფელობა სრულებითაც არ ნიშნავს პაციფისტობას. თუ დავიწყეთ ჩანაფიქრის რეალიზება, მერწმუნეთ, უფრო რთული ომის დაწყება მოგვიწევს გაცილებით სერიოზული მტრის წინააღმდეგ.

ამას კი მხოლოდ ერთად შევძლებთ.

თითოეულ ჩვენგანს, ფრონტის მეორე მხარეს ჯერ კიდევ ჰყავს ძველი დროიდან შემორჩენილი ახლო ნაცნობები.

ჩვენს თაობას ჯერ კიდევ ახსოვს ის დრო, როდესაც ელემენტარულად სტუმრად დავდიოდით ერთმანეთთან, ვმეგობრობდით, ჩვენ შორის იყო შერეული ქორწინებები.

ჩვენი შემდგომი თაობა კი, მით უმეტეს, დღევანდელი ახალგაზრდობა, შესაძლებელია აღარ იყოს ჩვენსავით დაკავშირებული დღეს დაპირისპირებულ მხარესთან, რაც არსებულ კონფლიქტურ ვითარებას უფრო რთულად გადასაწყვეტს გახდის.

შესაძლებელია მივიღოთ რაღაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისმაგვარი, როდესაც ორი ერი, უკვე მესამე თაობაა, სისხლისმღვრელ ომშია ჩართული.

**ნუგზარ გოგორიშვილი,**
ვიცე-პოლკოვნიკი,
კავშირ „სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი განვითარების“ თავმჯდომარე

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13.

ინფორმაცია

## მწარმოებლობის მნიშვნელოვანი როლი

თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის დამსაქმებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით გუშინ საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.

კონფერენციას „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ეგიდით საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მართავს.

„ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვანი როლი საწარმოთა კონკურენტუნარიანობის და მწარმოებლობის გაზრდას ენიჭება, რაც ეკონომიკური განვითარების, სიღარიბის შემცირების, ახალი შემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვისა და ღირსეული სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის წინაპირობაა“, – აღნიშნეს კონფერენციის დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე მისმა მონაწილეებმა.

ინტერპრესნიუსი

## როგორი პროფესიული განათლება გვექნება?

პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა მხატვრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „პროფესიული განათლების შესახებ“. კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტი განათლების მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დიდებულიძემ წარმოადგინა. მისი თქმით, „ამ კანონპროექტის მიღებით განათლების სისტემის რეფორმირება დასრულდება“ და ამ სისტემას ასეთი სახე ექნება – განათლება იქნება ორსაფეხურიანი. უმაღლესი განათლება და ზოგადი განათლება.

ზოგადსაგანმანათლებლო ეტაპზე საშუალო სკოლასთან ერთად იარსებებს სახელობო სწავლება, რომელიც 9 კლასის დამთავრების შემდეგ მსურველებს საშუალებას მისცემს კონკრეტულ სპეციალობებს დაეუფლონ. მეორე ეტაპი არის უმაღლესი განათლება და ამ ეტაპზე იქნება განათლების ორი სახე: აკადემიური უმაღლესი განათლება, რომელიც გულისხმობს სამ საფეხურს – ბაკალავრიატს, მაგისტრატურას და დოქტურანტურას და აქვე იქნება პროფესიული უმაღლესი განათლება, რაც გულისხმობს, ერთ მთლიან სასწავლო პროცესს 3-4 წლის განმავლობაში სპეციალობის მიხედვით. პროფესიული განათლება იარსებებს უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე და იგი გასცემს შესაბამისი სპეციალობის დაუფლების დამადასტურებელ დიპლომს.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის შეფასებით, „პროფესიული განათლების სისტემის დამკვიდრება საქართველოს საშუალებას აძლევს გადავიდეს ისეთივე საგანმანათლებლო სისტემაზე, როგორიც არის ამერიკასა და ევროპაში. ჩვენ აქამდე გვქონდა კოლეჯი, რომელიც რაღაც ჰიბრიდულ წარმონაქმნს წარმოადგენდა. ამ კანონის შემდეგ გვექნება ისეთი კოლეჯები, რომლებიც უმაღლესი პროფესიული განათლების ცენტრები იქნება“, – აცხადებს ნოდარ გრიგალაშვილი.

ჯი-ეიჩ-ენი

# გათქმევინეთ!

„დავიღალეთ ომებით, დავიღალეთ მამაცობით, დავიღალეთ გამარჯვებების მოპოვებით, დავიღალეთ მტრების დამარცხებით" – აცხადებს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ოლმერტი



## გლობუსი

*საქართველოში რუსეთის ელჩის დაბრუნების ინფორმაცია, რომელიც გასულ კვირას გადაიცა რუსული ტელეარხებით, ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჩამოთვლაც არ ღირს ყველასათვის ცნობილი ეკონომიკურ-პოლიტიკური შედეგებისა, რაც რუსეთთან უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობებს მოჰყვა. იმპულსურმა, ხშირ შემთხვევაში დაუფიქრებელმა პოლიტიკამ, რასაც საქართველო ადგას რუსეთთან მიმართებაში 1990 წლიდან დაწყებული, კულმინაციას გასული წლის შემოდგომაზე მიაღწია. მოთმინებიდან გამოსულმა რუსეთმა, საკუთარი აღშფოთების გამოსახატავად, დიპლომატიაში არსებულ ხერხს მიმართა და საკონსულტაციოდ გაიწვია საკუთარი ელჩი საქართველოდან. დიპლომატიაში იშვიათობას არ წარმოადგენს ელჩის გაწვევა, მაგრამ საელჩოს დიპლომატებისა და მათი ოჯახის წევრების სწრაფი ევაკუაცია, დიპლომატიაში მიღებული „კონსულტაციების" ჩარჩოებს გასცდა და დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის ჩარჩოებში შევიდა. ვითარებას ამძიმებდა ურთიერთის ზღვარგადასული ლანძღვა, რომლის დროს თავი იჩინა ქართველ პოლიტიკოსთა შეუდარებელმა „სიმამაცემ" და „ენამოსწრებულობამ". რაც მართალია, მათ ვერბალური პოლემიკა ისე „ოსტატურად" ჩაატარეს, რომ კუდით ქვა ასროლინეს მოწინააღმდეგეს. ოღონდ ერთია, სიტყვიერი ვულკანი და ბოლმანარევი ლავა, ძირითადად შიდა მომსახურებისათვის იყო განკუთვნილი. მან ძვრა ვერ უყო საერთაშორისო კრიტიკას მიჩვეულ რუსეთს, ჩვენ კი სერიოზულად დაგვაზარალა. ძნელი დასაჯერებელია სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლის მიხედვით რუსეთთან დაძაბულ ეკონომიკურ ურთიერთობას საქართველოსთვის ბევრი არაფერი დაუკლია. მე უფრო პრეზიდენტის განცხადებისა მჯერა, რომლის მიხედვით კრემლის პოლიტიკამ საგრძნობლად დააზარალა ქვეყანა. საქართველოს მოსახლეობამ უკეთ იცის რუსული ემბარგოს ფასი. ის დღესაც საკუთარ თავზე ცდის ამ ერთობ არასახარბიელო მოვლენას. სავალუტო ფონდი, საქართველოს სტატისტიკური სამსახურების მიერ მომზადებული „გულის გასახარი" ინფორმაციით იკვებება და არა ქვეყანაში შექმნილი რეალური ეკონომიკური ვითარებით.*

# ელჩი დაბრუნდა. მერე?..

## დავიღალეთ ომებით, დავიღალეთ „მამაცობით"

ამაოა იმათი მტკიცებაც, რომ რკინის ქალამნებჩაცმულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა, რუსეთის საერთაშორისო იმიჯის შესარყევი გაათკეცებული მსოფლიო მოგზაურობით, უდიდესი წარმატება მოიპოვეს. ხარჯი, ხარჯად. შედეგი, რბილად, რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელი გამოდგა. გავარვარებულ ნათურასთან მწერის სასიკვდილო შეხეთქებას ჰგავდა აბობოქრებული პოლიტიკა.

საერთაშორისო პრაქტიკისათვის დიდი გამონაკლისია ელჩთან კონსულტაციების დასრულების ვადის, ხშირად კონსულტაციები წელზე მეტ ხანს გრძელდება, ტელევიზიით გადაცემა და თანაც პრეზიდენტის მიერ პოლიტიკური განცხადების გაკეთება, ელჩისათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში წარმატების სურვება. მსგავს შემთხვევაში, მხოლოდ საგარეო უწყება იფარგლება მოკლე საინფორმაციო განცხადებით. რუსეთის პრეზიდენტის მიერ, ტელეკამერების თანდასწრებით, საგარეო საქმეთა მინისტრთან და ელჩთან საუბარი კეთილი ნების გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. მას სათანადო შეფასება სჭირდება და არა იმის თქმა, აბა რას იზამდა, ბოლოს და ბოლოს, იძულებული იყო ეს გაეკეთებინაო. უნდა ვიმედოვნოთ, რომ „პოლიტიკოსის" ამ ნიშნისმოგებითი გამონათქვამით წერტილი დაესმება სიტყვიერ ომს. კონსულტაციებიდან დაბრუნებულ რუსეთის ელჩს, ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, პუტინისა არ იყოს, ბევრი ნაბიჯი ექნებათ გადასადგმელი რთული და შრომატევადი საქმის შესასრულებლად.

ერაყთან დაკავშირებული პროცესებით გასული კვირა გამორჩეული განსაკუთრებულობით აღინიშნებოდა. ბაღდადსა და სხვა ქალაქებში განხორციელებულმა ტერაქტებმა ასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამერიკის ადმინისტრაციის შინ არსებულ პერმანენტულ კრიტიკას თავისი ხმა, ოღონდ სხვა კუთხით, შეუერთა ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური ალ მალექიმ. პრემიერმა ბუშის ადმინისტრაცია დაადანაშაულა არასაკმარისი სამხედრო ტექნიკით მომარაგების საქმეში. ფრონტის ხაზს უკვე მეორედ ეწვია აშშ-ს ახალი თავდაცვის მინისტრი გეიტსი, რომელმაც ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ერაყიდან ამერიკელთა გამოყვანა სამუდამოდ დაასამარებს სუპერ სახელმწიფოს სახელს და ხელს შეუწყობს მსოფლიო ტერორიზმის აღზევებას. გეიტსმა განაცხადა, რომ ექვსი თვის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამერიკის ჯარის ეტაპობრივი გაყვანის დაწყება. თვით აშშ-ში გამოკვეთილია დემოკრატიული კონგრესისა და ადმინისტრაციის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება. დემოკრატიული კონგრესი, ქვეყანაში არსებულ ვითარებას უარყოფითად აფასებს. განსაკუთრებული კრიტიკაა ერაყში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. კონგრესმა დაასწრო პრეზიდენტს და 4 დღით ადრე გააცნო ქვეყანას ბუშის ადმინისტრაციის საგმირო საქმეები. ამერიკის პრეზიდენტი 23 იანვარს წარსდგა კონგრესისა და ხალხის წინაშე წლიური ანგარიშით.



აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ახლო აღმოსავლეთში ვიზიტი არც ამჯერად იყო რაიმეთი გამორჩეული. მან კვლავ დაადასტურა ამერიკის ადმინისტრაციის სურვილი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე და მხარეებს დიალოგისაკენ მოუწოდა.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთი კვლავ რჩება მსოფლიოს ყველაზე მძაფრ რეგიონად. დაპირისპირებათა მთავარი შემოქმედნი არიან: პალესტინის ავტონომია და ისრაელი, ისრაელი და ლიბანი, პალესტინის ორი ძირითადი ორგანიზაციები, ფათეჰი და ჰამასი, ერაყის ომში ჩართული მხარეები. ერაყის ომი, რომელიც 2003 წლიდან იღებს სათავეს, თავისი მასშტაბებით, მსხვერპლითა და დასახიჩრებულთა რაოდენობით აღარაფრით ჩამოუვარდება ადრე არსებულ კონფლიქტებს, თუნდაც ერთად აღებულს. ბეიკერის მიერ შექმნილი დოკუმენტის მიხედვით ერაყში რამდენიმე კონფლიქტი მიმდინარეობს ერთდროულად. ერთის მხრივ აშშ-სა და სუნიტებს შორის. მეორეს მხრივ შიიტებსა და სუნიტებს შორის. ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან ქურთები და არაბები.

დაღუპულთა და დასახიჩრებულთა გარდა (21.000ძ აშშ-მა 400 მილიარდი დოლარი შესწირა ერაყის ომს. მომავალში ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება და სამხედროთა პენსიასთან ერთად, 2 ტრილიონს გადააჭარბებს. ერაყის ომმა, ერაყის მიმართ სხვა ქვეყნების მოჭარბებული ინტერესიც გააჩინა. მათ შორის გამოირჩევა შიიტური ირანი. შიიტური ირანის შიიტურ ერაყთან კავშირს მოჭარბებული ეჭვით ადევნებენ თვალს აშშ და არაბული ქვეყნები. მათ არ სურთ ერაყის შიიტურ სახელმწიფოდ გადაქცევა და შიიტურ ირანთან ერთად რეგიონში შიიტური გავლენის გაფართოება. ასეთ პერსპექტივას განსაკუთრებულად ეწინააღმდეგება სუნიტური საუდის არაბეთი. ამ ქვეყნის მეფემ, აბდალამ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჩეინისთან საუბრისას აღნიშნა, რომ თუ აშშ-ი დასტოვებს ერაყს, მაშინ საუდის არაბეთი არ დაზოგავს თანხებს ერაყელი სუნიტების დასახმარებლად. ვითარება იმდენად გამოუცნობი და წინააღმდეგობებით აღსავსეა, რომ არავინ იცის, რა შეიძლება მოჰყვეს თუნდაც ერთ გაუთვლელ ნაბიჯს, რისგანაც სამწუხაროდ არავინაა დაზღვეული.

მძიმე საგონებელშია ჩავარდნილი ვაშინგტონი. ერაყში ომის დაწყებამ უამრავი კრიზისული ვითარება შექმნა. მათგან თავის დაღწევა არც ისე იოლი გამოდგა, როგორსაც 2003 წელს ვარაუდობდნენ. ყველასათვის ნათელი ხდება, რომ დიქტატორი ჰუსეინი რეგიონის სტაბილურობის გარანტი იყო.

არც ისრაელ-პალესტინის დაპირისპირებას უჩანს გადაწვეტის პირი. ისრაელმა, რომელმაც ერთთვიანი ომის შედეგად ნახევარი ლიბანი დაანგრია, ვერაფერი მოუხერხა „ჰესბოლას". ამას წინათ, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს კონფლიქტების შემსწავლელი ცენტრის ექსპერტი ჯეიმს შერი წერდა, რომ ისრაელი წარმატებული, მაგრამ ნაკლებად მყარი ქვეყანა გახდა. ებრაელები დღეს უფრო კომფორტულად და ნაკლებად ჰეროიკულად ცხოვრობენ. მათ ყურადღება გადატანილი აქვთ სამხედრო ტაქტიკის და ტექნიკის გამოყენებაზე. ისინი მინიმალური ცოცხალი ძალის დანაკარგზე არიან მომართულნი. თავისი მოსაზრების გასამყარებლად ავტორს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოლმერტის სიტყვები მოჰყავს: „დავიღალეთ ომებით, დავიღალეთ მამაცობით, დავიღალეთ გამარჯვებების მოპოვებით, დავიღალეთ მტრების დამარცხებით".

ახლო აღმოსავლეთში ქაოსის უდიდესი შთაბეჭდილება იქმნება. ვერც ირანი და ვერც ერაყის სხვა მეზობელი ვერ იწინასწარმეტყველებდა თუ რამდენად შეიძლებოდა ალ ქაიდას ხელშეწყობით გაღვივებული ტერორიზმი და სუნიტური წინააღმდეგობის მოძრაობა გადაზრდილიყო სისხლიან, თემთაშორის ხოცვა-ჟლეტაში. წლების განმავლობაში ირანი ამერიკელთა შეცდომებზე სწავლობდა, ქმნიდა სადაზვერვო ქსელს, აფართოებდა თავის გავლენას სადრის შიიტურ მოძრაობაში. დღეს ირანი უფრო მეტი გავლენით სარგებლობს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა. მისი გავლენა ამერიკისას უტოლდება. მაგრამ შეძლებს ის რეგიონში ყოველმხრივი გავლენის მოპოვებას? სწორედ ეს რომ არ მოხდეს, ამერიკა-ისრაელი მზად არიან შეტევაც კი განახორციელონ ირანის ბირთვულ ობიექტებზე. ანტიირანული მოქმედების სტიმულატორად ისინი, თვით ირანის პრეზიდენტის აჰმადინეჟადის ანტიისრაელურ განცხადებას თვლიან. თეირანის სიტყვიერ შეტევას საქმე რომ არ მოჰყვეს, ოლმერტი წინასწარ აფრთხილებს ირანს, რომ მას ბირთვული იარაღი გააჩნია. ამას წინათ ოლმერტმა თქვა, ირანი იბრძვის ბირთვული იარაღის შესაქმნელად.

იხ. 6 გვ.

## ფიქრები ხმამაღლა

# ისაა და იმის ნაშალი...

**რამდენი დაკვირვება უნდა სათქმელს და განსაკუთრებით, ამა სოფლის ძლიერთა ენა-პირით სათქმელს. ორიოდ თვის წინათ იყო, ქვეყნის პრეზიდენტმა რომ ბრძანა, დღეს მე ახალი საწარმო გავხსენი, ხვალ კიდევ ერთს გავხსნიო. რასაკვირველია, „მე" „ყურში საცემი" გამოუვიდა და „ჩვენ გავხსენითო", სულ სხვაგვარად გამოჩნდებოდა, გაცილებით მომგებიანად...**

უფრო ცინცხალი მაგალითები, ტელეეკრანიდან ამ კვირადღეს „გაჟღერებული": ჯერ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გადმოდგა და ერთგვარი ნიშნისმოგებით გვაუწყა, **ის ადგილი, რომელიც წიგნს ეკავა ან ეჭირა** (დიახ, ასე ორნაირადძ **განათლების სისტემაში, აღარასოდეს აღარ ექნებაო.**

რაღა გვიჭირს! კომპიუტერს რომ ასე ვაფეტიშებთ და წიგნს ასე „ვაფარჩაკებთ", იმიტომაც მიდის განათლების საქმე კარგად...

მერე შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა იფეთქა: **ჩემი სამინისტროს ცენტრალურ აპარატში რამდენი კაცი მეყოლება, ჩემი საქმეაო.** რაღა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV („სახელმწიფო ეს მე ვარო"ძ და რაღა ჩვენი მინისტრი („სამინისტრო – ეს მე ვარო"ძ! და „მე-მეს", „ჩემი-ჩემის" რომ გაიძახიან და სხვებსა და ხალხს არად აგდებენ, ქვეყნის საქმეც იმიტომ არის კარგად...

გამოჩენილ ამერიკელ ეკონომისტს ადამსს ეკუთვნის ორსიტყვიანი ბრძნული ნათქვამი, გენიალური მიგნება – **ძალაუფლება საწამლავიაო** (პირველად რუსულ ტექსტში შემხვდა: „Власть – это яд"ძ. როგორ ხვდება „ათიანში", როგორ ყოველთვის ამართლებს და მართლაც როგორ მუდამ წამლავს ძალაუფლებიანი კაცის ხასიათს – პატარა ძალაუფლების მქონესიც კი. ნეტა ყველა დიდკაცმა თუ იცის ადამსისეული ფორმულის შესახებ?..

# დედავ ძვირფასო, ჩვენზე ზრუნვით გალიდერებულო...

**მემარჯვენეებს არ უნდათ დაინახონ, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება ხალხზეო, – ასეთი თუ რაღაც ამდაგვარი კომენტარი მიუგდო ტელეჟურნალისტს ცნობილმა პარლამენტარმა და კმაყოფილმა გააბიჯა.**

ტელეკამერის წინ განსაკუთრებული დაფიქრება სჭირდება კაცს და ორმაგი – პოლიტიკოსს. მაყურებელია ჩასაფრებული და იმიტომაც.

– კი მაგრამ, მოწყალეო ქალბატონო, ყოფილ მეუღლეზე, თქვენი შვილის მამასა და ყოფილ კოლეგაზე რომ ვერ გიზრუნიათ, მის დასაცავად რომ სიტყვა არ დაგცდენიათ, ხალხზე თქვენი ზრუნვა როგორ დავიჯერო ნეტავი? ირაკლი ბათიაშვილი იმხალხში, თქვენ რომ ასე ზრუნავთ, არ შედის? უმრავლესობის ლიდერობას გაფიცებთ, მართლა გჯერათ, რომ სამშობლოს მოღალატეა?..

ეს ერთი და მეორე ისა, რომ სადაც სამართალია, ამგვარი შეკითხვები მე კი არ უნდა დამესვა – ტელეჟურნალისტს უნდა მოეცა, რომელმაც ჩაგწერათ; მაგრამ ვაგლახ, რომ ბევრ ჩვენს ტელეჟურნალისტს ჟურნალისტობა ოდენ სტენოგრაფისტობა ჰგონია...

**ლუკა გორგაძე**

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

**კონფედერაცია არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს, სააკაშვილს იმიტომ, რომ ის არ მისცემს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გავლენის მოპოვებას, ხოლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არავითარი სურვილი არ ექნებათ პერმანენტული შიშის ქვეშ იცხოვრონ და ელოდონ როდის აიღებს თბილისი ძალით სოხუმსა და ცხინვალის მმართველობას**



№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

◎ გლობუსი

# ელჩი დაბრუნდა. მერე?..

(მეხუთე გვერდიდან)

მას ისეთი უნდა გახდეს, როგორებიცაა აშშ-ი, რუსეთი, ისრაელი, საფრანგეთიო. ოლმერტმა ამ განცხადებით დაარღვია ტაბუდადებული თემა. თუმცა ადრეც ჰქონია ადგილი ისრაელის პრემიერის მხრიდან გამაფრთხილებელ განცხადებას. პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეიერმა ერთ დროს თქვა — **„ჩვენ არ გვაქვს ბირთვული იარაღი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ“.**

შეძლებს ამ შემთხვევაში მაინც საერთაშორისო საზოგადოებრიობა, გაეროს უშიშროების საბჭო, ამერიკა-ისრაელის სავარაუდო აგრესიის შეჩერებას ირანის მიმართ? ამას მომავალი გვიჩვენებს. ის, რომ აშშ ბლიც საჰაერო თავდასხმით გარკვეულ წარმატებას მოიპოვებს, ძნელია ეჭვის შეტანა, მაგრამ შემდეგ? ირანი ერაყი არ არის. გაცილებით ძლიერი არმიისა და შეიარაღების მქონე ირანი ვალში არ დარჩება აგრესორთა მიმართ. შეძლებს ისრაელი თავი გადაირჩინოს ირანული რაკეტებისაგან და გამოიყენებს თუ არა განწირული ისრაელი ბირთვულ იარაღს? და რა იქნება შემდეგ? ეს კითხვები ადვილად შეიძლება პოულობდეს პოზიტიურ პასუხებს კომპიუტერული სამხედრო თამაშების დროს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ასეთმა ნაბიჯმა კაცობრიობა კატასტროფის წინაშე შეიძლება დააყენოს.

მოახლოვდა ტაიმ-აუტის დასასრული. 21 იანვარს სერბიაში პარლამენტის არჩევნები გაიმართა. არჩევნებს არა მარტო სერბეთისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ სეპარატიზმით შეწუხებული ქვეყნებისთვისაც. მათ შორის საქართველოცაა. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთ-კოსოვოს საკითხი განსხვავდება საქართველო-აფხაზეთის, საქართველო-სამხრეთ ოსეთის საკითხებისაგან, საერთოც ბევრია — სეპარატიზი. სერბეთის არჩევნებში 2 მთავარი ძალა იკვეთებოდა: დემოკრატები, რომლებიც მილოშევიჩის შემდეგ მართავენ ქვეყანას და ულტრანაციონალები, რომლებიც დასავლეთს სერბთა უპირველეს მტრად მიიჩნევენ და კატეგორიული წინააღმდეგი არიან კოსოვოს დამოუკიდებლობის. კოსოვოს, სერბთა ისტორიაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია. სწორედ ამ მხარეშია თავმოყრილი ცნობილი მონასტრები. დღევანდელ კოსოვოში მოსახლეობა ძირითადად ალბანურია. კოსოვო 1999 წლიდან გაეროს ზედამხედველობის ქვეშ, ბელგრადისგან დამოუკიდებლად ცხოვრობს. სერბი პოლიტიკოსები მოსახლეობას უმტკიცებენ, რომ ახალი კონსტიტუციის თანახმად კოსოვო სამარადისოდ რჩება სერბეთის შემადგენლობაში. პრემიერ-მინისტრი კოშტუნიცაც ამტკიცებს, რომ სერბია ევროკავშირში კოსოვოსთან ერთად შევა. არჩევნების შედეგი 3-4 დღეში გამოქვეყნდება, მაგრამ ერთი უკვე ცნობილია. რადიკალებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მათ ხმების 30 პროცენტამდე დააგროვეს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის დამოუკიდებლად მთავრობის დაკომპლექტებისათვის. დემოკრატებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კოსოვოსთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში ახალ პარლამენტში სერიოზული ბრძოლები იქნება მოსალოდნელი.

დასავლეთის მიდგომა კოსოვოს საკითხისადმი მკვეთრად განსხვავდება ბელგრადისაგან. ერთი ვარიანტით კოსოვოს პარლამენტი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს, რასაც უმალ აღიარებს ვაშინგტონიც და ევროკავშირიც. ამ ვარიანტის არსებობის შესახებ თავისი დასტური გამოხატა ბელ-




გრადში აშშ-ს ელჩმა პოლტმაც.

გაურკვეველია რუსეთის პოზიცია. მართალია, სერბეთში რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთი ვეტოს დაადებს კოსოვოსთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცალმხრივ გადაწყვეტილებას, მაგრამ ბელგრადში ეჭვნარევი კითხვაც ჩნდება — გააკეთებს ამას რუსეთი? ბელგრადში 1812 წლის ისტორიასაც იხსენებენ, როდესაც რუსეთმა თურქეთთან კიშინიოვის ხელშეკრულების გაფორმებით საშუალება მისცა თურქეთს სისხლში ჩაეხშო სერბთა აჯანყება. სერბებს ელცინის უშედეგო დაპირებაც ახსოვთ — ბელგრადს არავის დავაჩაგვრინებთო. თუმცა ვინ იცის იქნებ ამ შემთხვევაში რუსეთმა შესაძლოა მართლაც თქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა, რაც ალბათ იმ გარიგების შედეგიც იქნება, რომლის მიხედვით სერბეთის ხელისუფლება ჰპირდება „ლუკოილს“ სერბული სახელმწიფო ნავთობის კომპანიის შეძენას. გარდა ამისა „გაზპრომი“ შეღავათიან პირობებში გაიყვანს გაზსადენს სერბეთის ტერიტორიაზე ტრიესტის მიმართულებით.

კოსოვოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მეორე ვარიანტიც არსებობს — ფართო ავტონომია, მაგრამ ფაქტობრივი დამოუკიდებლობა ბელგრადისაგან. აქ ჩვენი და სერბეთის ინტერესები იკვეთება. გასულ წელს რუსულმა გაზეთმა „კომერსანტმა“ გამოთქვა მოსაზრება საქართველოში კონფედერაციის შექმნის შესახებ. გასულ დეკემბერს კი „ნეზავისიმაია გაზეტაში“ ექსპერტმა მაკარკინმა „კომერსანტში“ გამოქვეყნებული ვარაუდი კრემლის პიარად მონათლა, ვინაიდან, მისი აზრით, კონფედერაცია არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს, სააკაშვილს იმიტომ, რომ ის არ მისცემს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გავლენის მოპოვებას, ხოლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არავითარი სურვილი არ ექნებათ პერმანენტული შიშის ქვეშ იცხოვრონ და ელოდონ როდის აიღებს თბილისი ძალით სოხუმსა და ცხინვალის მმართველობას. საბჭოთა კავშირი სეპარატისტული ავტონომიებისათვის უფრო მტკიცე გარანტი იყო, ვიდრე რუსეთის ფედერაცია, მაგრამ თბილისმა მაინც გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. ავტორის აზრით, კონფედერაცია სამივესათვის არასახარბიელოა, თუმცა დასავლეთი სხვა აზრისაა. ის დიდი ხანია ითხოვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ოღონდ სეპარატისტული ავტონომიებისათვის ფართო ავტონომიის მიცემით. რუსეთიც მომხრეა ასეთი ფორმატის. ამის შესახებ პუტინმა განაცხადა კიდევაც გფრ-ს კანცლერ მერკელთან სოჭის შეხვედრაზე. და თუ დასავლეთსა და ჩრდილოეთს აწყობთ, ხომ არ გათამაშდება კოსოვოს მე-2 ვარიანტი?

იქნებ სწორედ ამისათვის შეწყდა კონსულტაციები რუსეთის ელჩთან?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

პოლიტოლოგი

◎ პოეზია

## საქართველოს თბილისი დავარქვათ

(სამკურნალო კალცლექსი)

ვარდყვავილით აივსო
სიყვარულის გოდორი,
დავიბრუნეთ აჭარა,
დავიბრუნეთ კოდორი.

დეკემბერს და იანვარს
შევუერთეთ ივლისი,
ყველაფერი მოთავდა,
ჯერი დადგა თბილისის.

ახლა დიღომს ვიერთებთ
წყნეთითა და მანგლისით,
ვემსგავსებით ვაშინგტონს, —
აუ, დედაც მაგისი.

შევიერთეთ ლისი და
შევიერთეთ თხინვალა,
ვაშა, ჩვენს საქართველოს,
მარად, მარად წინმავალს!

მალე შემოვიერთებთ
თელავსა და საჩხერეს,
გავამრავლებთ სვანეთში
შიგ ვენაში გამჩხერებს.

გვევედრება მცხეთა და
მცხეთისჯვარი ბრწყინვალე, —
მალე დაიბრუნეთო
სოხუმი და ცხინვალი.

ირგვლივ რამე თუ გვქონდა,
ყველაფერი გავაქრეთ,
ხვალ მზიურ საქართველოს
ალბათ, თბილისს დავარქმევთ.

მე გთხოვთ, ძმანო ქართველნო,
ღვთისმშობლისა წილხვდრნო,
ქართველები შევერთდეთ
და ერთმანეთს მივხედოთ.



ნუ ვჭამთ, ოქროყანასა,
დიღომსა და დიდგორსა,
გეხვეწებით, რაცა ვთქვი, —
ბუშმა არ გაიგოსა.

დაიჩოქე, თბილისო,
თავზე ერბო წაისვი,
უფრო დიდი გახდები —
დიდმითა და კრწანისით.

ბოლოს, ერთიც უნდა ვთქვა,
ჩემი აზრი — ზირადი,
ძმანო, თბილისელებო,
ხომ არ გამოვქლიავდით?

**ჯანსულ ჩარკვიანი.**
2007 წლის 10 იანვარი.

## ბედთან თამაში

**პაატა კოღუაშვილს**

დავცქერ სტრიქონებს ცრემლით გადაშლილთ,
როგორც ცარიელ ზარტერის რიგებს,
ცხოვრება რაა? — ბედთან თამაში,
რომელსაც ქვეყნად ვერვინ იგებს.
მე მოვიხილე ის მწველი სხივი,
შენში რომ ასე კიაფობს და ჭკრთის,
როდესაც მვირფასს ვკარგავთ და ვტირით,
ეს არის ჩვენი ღირსებაც, ნაკლიც.
წუხილიც, ცრემლიც და სევდაც ფერთა,
მაჯისცემაც თუ თვით გულის ფეთქვაც, —
ეს ყველაფერი ჩვენ მოგვცა ღმერთმა,
ო, მაგრამ მოგვცა ტკივილთან ერთად.
სიტყვა, რომელიც მე იქნებ ვერც ვთქვა
და სილამაზე, ერმობა რომ ერქვა,
ღმერთმა მიბოძა მე ცრემლთან ერთად
და სიცოცხლესთან თან მიაქვს ერთად.
შენც გაქვს, იცოდე, ისეთი რაღაც,
რაც არც ერთ მავრში არ შემინიშნავს,
ხან აღმაფრენა და ხანაც დაღლა,
შენთან ერთად რომ გაჩნდა და იშვა.
ასე ჩნდებიან მზეც და ჩრდილებიც,
ასე განსაჯა თავად განგებამ,
რაც მოვიპოვეთ მონანიებით,
გწამდეს, უბრალოდ არ იკარგება.
ასეთი არის ზოეტის ბედიც,
ვინც ერთხელ ჯვარცმად ემონა სიტყვას,
მიღრენს ზირღია საფლავი გვერდით,
ბოლოს და ბოლოს ყოველს რომ ინთქავს.
ნეტავ რად გავჩნდი? — აი, რა მიკვირს
ან შეუმჩნევლად, ჩუმად რად მკლავენ?!
და მივდევ ქუჩებს, გადაღლილთ ზიკით, —
ჩემივე ჩრდილის მკრთალ ნატერფალევს.
მიწუდება ფიქრი, ვით მოწის მაფი,
ფრთებს ემსხვრევიან მწუხრის ქარები,
მე მგონია, რომ მწვერვალს ვესწრაფი,
უფსკრულისკენ კი მივექანები.
და სიზმრად ვხედავ დანისლულ სერებს
და მეწვის გული — ჭრილობა ღია,
აბა, მილშიაც ვინ მომასვენებს, —
სიზმრები მშიერ მგლებივით მღრღნიან.
და მმოსავს ნისლი მე აბჯრის ნაცვლად,
ჟამია უქმის, ჟამი არამკის
და ვმარცვლავ ცრემლებს სულ
მარცვალ-მარცვალ,
ცრემლებს ერეკლე მეფის ასაკის.
ო, ხმალი მისი როგორ ელავდა,
როგორ ჩეხავდა,
როგორ კაფავდა!..
ერთხელ ერეკლე მეც მომელანდა
აკოცონებად ცხენთა ფაფართა.
ერეკლესავით მეც სიკვდილს ვეძებ,
მე მიკოცნიდნენ მახვილს ლოცვებით,
მეც დავეცემი კრწანისის ველზე
და კვლავ ყაყაჩოდ ავკოცონდები.
ჩვენ, ყველა მტვერი ვართ მშობელ მიწის,
თუნდ წინანდელი,
თუნდ ახლანდელი
და ისე უხმოდ და ნელა ვიწვი,
როგორც ზატრუქი წმინდა კანდელის.
დავცქერ სტრიქონებს ცრემლით გადაშლილთ,
ისე, ვით დაცლილ ზარტერის რიგებს,
ცხოვრება რაა? — ბედთან თამაში,
რომელსაც ქვეყნად ვერავინ იგებს.

**ჯანო ჯანელიძე.**
13.09.06 წ. თბილისი.

• პენსიების გაცემის სისტემა აქ ისე აქვთ „მოფიქრებული“, რომ ამ „მადლიან ჟამს“ მის მიმღებებს, გადასახადის გადამხდელებს, მეანაბრეებს, მოკლედ, ყველა კლიენტს ერთ რიგში უწევთ დადგომა და...

სახალხო ბანკი
People's Bank
ხალხის სამსახურში
At People's Service

◉ ყოფა

# „ველური“ სერვისი

## როცა თაგვის სორო მიმართულებასაც არ იცვლის

**რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით საკმაოდ ახალგაზრდა, როგორც ეს ახლა ჩვენშია მიღებული, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე გამოდიოდა, რომელმაც, როგორც თავადვე აღნიშნა, „რეზიუმეს“ სახით განაცხადა: მინდა იცოდეთ, რომ დარგში ადრე შექმნილ და ახლაც შემორჩენილ საბჭოურ მოდელს აუცილებლად დავანგრევთ და ახალს შევქმნითო.**

ძველი, დრომოჭმულის ადგილი ახალმა და პროგრესულმა რომ უნდა დაიკავოს, ამაზე, ცხადია, არავინ დავობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვითომდა „ახლის“ შემოტანისას ისევ „ძველი“, ხშირად გაუარესებული „საბჭოური მოდელები“ მოქმედებს. საშუალო და უფროსი თაობის ხალხს ჯერ კიდევ გვახსოვს ის დრო, როცა რიგით მოქალაქეს, ჩვეულებრივ მოკვდავს, თავისსავე ქვეყანაში უამრავი „უფროსი“ გვყავდა; მაგალითად, ტაქსის მძღოლი (არ უნდოდა წაყვანა — კაცს არ წაგიყვანდა, ვერაფერსაც დააკლებდიძ, ოფიციანტი (არ უნდოდა — დროულად ანდა სულაც არ მოგემსახურებოდა, ვერც მას „დააჭრიდი ყურებზე ხახვს“ძ, სასტუმროს ადმინისტრატორი (თუ არ მოისურვებდა, სასტუმრო მთლად ცარიელი რომ ყოფილიყო, შიგნით ცხვირს არ შეგაყოფინებდა, ვერც მას შეუვარდებოდი თავის სახლში — ღამე მაინც გამათენებინეოძ... ასევე „უფროსობას“ „არ გვაკლებდნენ“ საავადმყოფოების სანიტრები, მაღაზიის სექციონერები, კარისკაცები, გამყიდველები, სხვანი და სხვანი. ახლა ასეთი მომსახურება, თითქოსდა წარსულს ჩაბარდა და მართლაც, ჩვენი უწინდელი „ველური“ სერვისი თანდათანობით ცივილიზებულ სახეს იღებს, მაგრამ სხვადასხვა სფეროში მისი გაკეთილშობილების ტემპი არა მარტო ჩამორჩება სასურველს, არამედ, ჩემი აზრით, უწინდელთან შედარებით უფრო „ველურდება“ კიდეც.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ პენსიონერებისთვის კუთვნილი თანხა ოჯახში უბნის ფოსტალიონებს მიჰქონდათ. მახსოვს ერთხელ დედაჩემის გაკვირვება, როცა ფოსტალიონმა ქალბატონმა არა ნაშუადღევს მოაკითხა, როგორც მანამდე მოდიოდა ხოლმე, არამედ საღამოხანს — ბანკიდან ფულის გამოტანა რაღაც მიზეზით შეფერხებულა და დაყოვნების მიზეზიც ეს გამხდარა. არადა, დედაჩემი რაღაც საქმეზე უნდა გასულიყო სახლიდან და იმის გამო, რომ არ სურდა ფოსტალიონი მისი გულისთვის კიდევ ერთხელ შეწუხებულიყო, შინ დარჩა.

იქნებ ვინმეს ჩემი ნათქვამი ფუჭ



რიტორიკად მოეჩვენოს, მაგრამ ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მინდა ხაზი გავუსვა, რომ თუკი კაცს კაცის პატივისცემა უნდა, ამის გაკეთებას ნებისმიერ, ფორსმაჟორულ ვითარებაშიც კი შეძლებს.

ახლა კონკრეტულად ერთ ამბავს მოგახსენებთ, რომლის შესახებ რამდენიმე თვის წინათ უკვე გვქონდა ლაპარაკი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ იმის შემდეგ მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, ვფიქრობ, გაუარესდა კიდეც. მხედველობაში მაქვს სს „სახალხო ბანკი“ და მომხმარებელთა (ბანკის კლიენტებისძ მომსახურების სტილი. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ შარშან ზაფხულში კორტეჟით მიმავალმა საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ იდგნენ თაკარა მზეში „სახალხო ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალთან პენსიის მომლოდინე (და, რაც უფრო გულსატკენია, შემყურეძ ხანდაზმული ადამიანები. ქვეყნის პირველი პირის რეაქცია დაუყოვნებლივი და მრისხანე იყო: ბანკის მესვეურებს სულ სამი დღის ვადა მიეცათ უმსგავსოების ძირფესვიანად, ვიმეორებ, ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად. მართლაც, ბანკირებმა იკადრეს და ხალხი ფილიალებში შეუშვეს და ახლა გარეთ რიგებს ვეღარ ნახავთ, სამაგიეროდ, პენსიების დარიგების „დალოცვილი“ დროჟამი რომ დგება, შიგნით რა ხდება, ვისაც არ უნახავს, მერწმუნეთ, საკუთარი ნერვული სისტემა დაუზოგავს.

დიდი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ცნობილი გამოთქმის სიკეთისა არ იყოს — მთის ჩამოქცევა ხშირად იმით მთავრდება, რომ თაგვის სორო მხოლოდ მიმართულებას იცვლისო — როგორც ჩანს, ასევეა „სახალხო ბანკის“ აბაშიძის ქუჩაზე განთავსებული ფილიალის საქმეც (რამდენადაც ვიცი, არც სხვაგანაა უკეთესად საქმეძ.

პენსიების გაცემის სისტემა აქ ისე აქვთ „მოფიქრებული“, რომ ამ „მადლიან ჟამს“ მის მიმღებებს, გადასახადის გადამხდელებს, მეანაბრეებს, მოკლედ, ყველა კლიენტს ერთ რიგში უწევთ დადგომა და... თუმცა ამის თაობაზე უკვე ვთქვი. არადა, ვფიქრობ, პენსიონერთათვის მაინც შეიძლებოდა თვეში რამდენიმე დღით, ვიდრე პენსიები დარიგდება, ერთი მოლარე, უკაცრავად, „ოპერატორი“ დაესვათ და ამ ხალხს ის მომსახურებოდა, მაგრამ... ჰოდა, ეს ჩვენი ოპერატორებიც კლიენტების მოზღვავებით, მათი შეკითხვებით თავგაბეზრებულები, ერთმანეთში „კონსულტაციებს“ უფრო მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე თავად საქმეს.

წეღან ვთქვი, იქნებ ერთი ოპერატორი მაინც გამოეყოთ-მეთქი პენსიონერებისთვის, მაგრამ ამის გაკეთება, ალბათ, გაუჭირდებათ, ვინაიდან ერთ მოცუცქნულ დარბაზში ამის გაკეთება, ცოტა არ იყოს, ერთობ ძნელი იქნებოდა.

მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ უკვე კარგა ხანია სახელმწიფო უწყებები „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მუშაობენ (ცხადია, იქ, სადაც ეს შესაძლებელია გარკვეული კომპეტენციის ფარგლებშიძ.

მოკლედ, ბოლო ოთხი დღე დავდიოდი აბაშიძის ქუჩაზე „სახალხო ბანკის“ფილიალში და ამაოდ ვცდილობდი გაზის გადასახადის გადახდას, რადგან თითოეული პენსიონერის მომსახურებას აქაური ოპერატორები დაახლოებით 7-8 წუთს უნდებიან. ახლა წარმოიდგინეთ, რიგში 10 კაცი მაინც თუ დგას, მათ „გასტუმრებას“ დაახლოებით საათი-საათნახევარი სჭირდება. ამას იმასაც თუ დავამატებთ, რაც უშუალოდ სალაროებთან ხდება, სადაც ახლა უკვე ყველა ოპერატორისგან წამოსული კლიენტი იყრის თავს...

მოკლედ, ვისაც ფული აქვს ასაღები, იმას, ალბათ, სხვა გზა არა აქვს და „სახალხო ბანკის“ „აბანო“ უნდა გამოიაროს, ვისაც ჩემსავით გადასახადი აქვს, შეიძლება ამ საქმეზე ხელიც ჩაიქნიოს. და ეს პროცედურა სამერმისოდ გადადოს. ერთხელ, როცა მაინც შევძელი — მხოლოდ საკითხავად! — ოპერატორამდე მიმეღწია: რიგი ყველასთვის ერთია, თუ...? — მან თავმოუტრიალებლად (მეორე ოპერატორს ესაუბრებოდაძ მიპასუხა — რიგი კი ერთია, მაგრამ გადასახადის აკრეფის სისტემა (ალბათ, კომპიუტერულს თუ გულისხმობდაძ არ მუშაობსო.

ბატონებო, ერთხელ უკვე ვთქვი: თუ სისტემა გასამართია, მაშინ ჯერ „გონს“ მოიყვანეთ“ და შემდეგ დანერგეთ, თუ არადა, როდემდე შეიძლება სხვისი დროისა და ნერვების ასე მოურიდებლად ხარჯვა?

ჰოდა, ვართ ახლა ჩავარდნილი საგონებელში... რა უფრო მალე მოხდება: „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ინკასატორები მომადგებიან გაზის ჩასაჭრელად, „სახალხო ბანკში“ გადასახადის გადახდა იქნება შესაძლებელი თუ გაზაფხული მოვა?

ამას იმიტომ ვამბობ, რომ შინ გაზის გამათბობლით ვთბებით, თორემ ჩაის ადუღება გარეთ დანთებულ კოცონზეც შეიძლება.

**ოთარ ტურაბელიძე**

***ბოლოთქმის მაგიერ. ამ აბზაცს უკვე დასასტამბად გამზადებულ წერილს ვამატებ. გაზის გადასახადის გადახდა ამ დილით მაინც შევძელი, ოღონდ არა „სახალხო ბანკში“, არამედ „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, მეტრო „მარჯანიშვილის“ ზედა ფოიეში, სადაც მხოლოდ ერთი ოპერატორი მუშაობს.***

***ცხადია, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით.***

***ო. ტ.***

# „ვერ გავიყრებით ვერც ეკონომიკურად, ვერც სულიერად“

**დსთ-ს (ხომ არ შემოგველო აბრევიატურა „დასთა“ — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა?ძ 15 წელი შეუსრულდა. „ოგონიოკის“ კორესპონდენტი ამ თარიღთან დაკავშირებით ესაუბრა ერთ დროს თანამეგობრობის ფედერალურ მინისტრს, აწ კემეროვოს გუბერნატორს ამან ტულეევს. გთავაზობთ ერთ ამონარიდს.**

— ამ 15 წელიწადში ვილა არ გვაშინებდა დსთ-დან გამოსვლით, მაგრამ არცვინ გამოსულა! გარწმუნებთ, არც გამოვა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს არავისთვის არ არის ხელსაყრელი.

**— არც საქართველო?**

— მჯერა, რომ არა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა მაგრად ამლაშებს, როცა ისეთ გამოთქმებს კადრულობს, რომლებიც იმდენად რუსეთს კი არა, რუსებს შეურაცხყოფს. ეს, რასაკვირველია, დაუშვებელია პირველ რიგში საკუთარი ხალხისთვის, რომელმაც, კერძოდ, რუსული კულტურა შეიწოვა. ვერც რუსს მონახავთ, თუნდაც ერთს ისეთს, ქართული კულტურა რომ არ იცოდეს.



ასე რომ, ვერც ეკონომიკურად, ვერც სულიერად ჩვენ ვერ გავიყრებით. აი ისტორიის ტრაგიკული პერიპეტიების გამო კი ქართველთა, აფხაზთა და ოსთა კეთილმეზობლობა დარღვეულია. იმის აღდგენა მხოლოდ მშვიდობით ეგების. დარწმუნებული ვარ: რუსეთი და საქართველო ერთად უზრუნველყოფენ ამ კეთილმეზობლობას, კერძოდ, დსთ-სთან ერთობლივი მონაწილეობითაც.

◉ მეზობლებთან

# შღამბაჭმი განა მარტო ჩვენ აღმვიმართეს

**2006 წელს რუსეთი გაჭიანურებულ საომარ მოქმედებებს ეწეოდა მეზობლებთან, ოღონდ ტანკებითა და ტყვიამფრქვევებით კი არა — სასმელებით, შპროტით, ქონით... თითქმის ყოველ თვეს „როსპოტრებნადზორი“ ან „როსსელხოზნადზორი“ აკრძალვას აცხადებდა ამა თუ იმ პროდუქტის შემოტანაზე...**

პირველ იანვარს **ნორვეგიულ წითელ თევზს.** წითელი შუქი აუნთეს — აქაოდა, გაცივებულში კადმიუმი და ტყვია ვიპოვეთო (გაყინულში რატომღაც ვერ იპოვესძ.

**პოლონური ხორცი** აღკვეთეს 2005-ის ბოლოსა და 2006-ის დასაწყისში — პოლონელი ვეტერინარები უხეშად არღვევდნენ წესებსო.

20 იანვრიდან აკრძალეს **უკრაინული ქონი** — იქაური ვეტერინარული სამსახურები სუსტად აკონტროლებენ ქვეყნის ხორცგადამმუშავებელ საწარმოებსო.

**მოლდავურ ღვინოებს** 27 მარტს გადაუკეტეს გზა — სინჯებში ვითომდა რუსეთის ტერიტორიაზე აკრძალული პესტიციდები აღმოაჩინეს.

**ქართულ ბორჯომს** 4 მაისს „მოუხაზეს“ — საჭირო დოკუმენტაციის არმქონე 191 ათასი ბოთლისთვის მიუგნია „როსპოტრებნადზორს“. რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო აღკვეთის მოხსნას უმალვე გვპირდება, როგორც კი ქართველი მწარმოებლები წესრიგს დაამყარებენ საკუთარ ბაზარზე. ჯერჯერობით რუსეთის ბაზარზე მოჩანს მინერალური წყალი „ბაგიათი“ და „რუსული ბორჯომი“ მიმგვანებული ეტიკეტით, მაგრამ სულ სხვა გემოთი.

**ჰოლანდიური ტიტები** 2005-ის დეკემბრის მიწურულიდან გაქრა, მაგრამ ამჯერად თვით ჰოლანდიამ თქვა უარი რუსეთის ბაზარზე, იმიტომ, რომ „არ ძალუძს თავისი პროდუქციის სრული ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების გარანტირება“.



20 ოქტომბრიდან ემბარგო დაადეს **ლატვიურ შპროტს.** ოფიციალური მიზეზი — კონსერვებში ბენზოპირენის აწეული შემცველობა.

2006 წლის 4 დეკემბრიდან **ბრინჯის იმპორტი** აიკრძალა. ოფიციალურად ეს აიხსნა ბრინჯში პესტიციდების შემადგენლობით და არაკონდიციური ბურღულის შემოტანით.

...ასეთი იყო რუსეთის შარშანდელი სავაჭრო ომი მეზობლებთან. ვნახოთ, დამყარდება თუ არა წლეულს საპროდუქტო მშვიდობა...

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძემ**

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

# აქეთურ-იქეთური

**რადიოაქტიური ნივთიერებები თავის გამანადგურებელი მოქმედების უნარს საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებენ. რამდენ ხანს გაძლებენ მომავალში ჩვენში ასაშენებელი საცავების კონტეინერების დაუჟანგავი ფილები, ძნელი სათქმელია**

ქველმოქმედება

# არა, ღმერთი არ გაწირავს...

## „SOCO“-სა და „GIEV“ -ის თაოსნობით

*სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამოფენა-გაყიდვა საქველმოქმედო ფონდმა „SOCO“ და „საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის საერთაშორისო ფონდმა „GIEV“ ერთად მოაწყვეს. სასტუმროს ორი დიდი დარბაზი დაეთმო გამოფენა-გაყიდვაზე გამოტანილ ნივთებს. რას არ ნახავდით აქ – თოჯინებს, ჩანთებს, კაბებს, ნაქსოვთა ნაირსახეობას, თეთრეულს, თავშლებს, მოქარგულ ბალიშებს, ჭურჭლეულობას, ყავისა და ჩაის სერვიზებს, სამოვრებს... წარმოდგენილი იყო სახვითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ნიმუშები, სუვენირები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტკბილეულობა... გამყიდველებად მოგვევლინნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის, ქიმიის ფაკულტეტების და შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები თომა ალი ბალი, ქარავა ჩოგორ, უსთა ქაფლანდერ, ასთლან ემრე, შაში ქარამუში და სხვები.*





გამოფენა-გაყიდვის საზეიმო გახსნაზე მოვიდნენ საქართველოში თურქეთის ელჩი ეთარ ქეზირგამი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, მთავრობის კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოში „ჩაღლარის“ სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მესუთ ბოსქირი და სხვები.

გამოფენა-გაყიდვა საზეიმოდ გახსნა „GIEV“-ის პრეზიდენტმა ექრემ შაჰანმა. მან აღნიშნა საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის დიდი წვლილი გამოფენა-გაყიდვის მომზადებაში, მისი თაოსნობით ასეთი გამოფენები მესამე წელიწადია, რაც ტარდება.

გამოფენა-გაყიდვაზე მოსულთ შობა-ახალი წელი მიულოცა მესუთ ბოსქირმა. მან მადლობა გადაუხადა სანდრა რულოვსს და შავი ზღვის უნივერსიტეტის პრორექტორს გიული ალასანიას გაწეული შრომისათვის. შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოში თურქეთის ელჩი ეთარ ქეზირგამი და გიული ალასანია.

გაიჭრა ლენტი... მყიდველები მეორე დიდ დარბაზში გავიდნენ, სადაც უხვად იყო გამოფენილი გასაყიდი საქონელი.

...საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „SOCO“ 1997 წლიდან არსებობს. სანდრა რულოვსის უშუალო ხელმძღვანელობით ფონდი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში სპეციალურ პროექტებს ახორციელებს, ხელს უწყობს საქართველოში სოციალური პროგრამების შესრულებას, მართავს საქველმოქმედო ღონისძიებებს. „საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი „GIEV“ კი 2001 წლის 5 ნოემბერს დაფუძნდა ქართველი და თურქი მშობლების, „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლექტივის მიერ. ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს ცივილიზაციათა და კულტურათა შორის დიალოგის განვითარებას, დაეხმაროს ხელმოკლე ოჯახებს, დაწყებით და საშუალო სკოლებს, ლიცეუმებს, უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს. დაუნიშნოს სტიპენდია წარმატებულ და მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტებს, უზრუნველყოს ისინი სამედიცინო მომსახურებით და საცხოვრებელი ფართით, დაეხმაროს კურსდამთავრებულებს დასაქმებაში.

**გამოფენა-გაყიდვაზე შემოსული თანხა, რომელიც სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ორი დღე გაგრძელდა, ხელმოკლე ოჯახებზე განაწილდება და აგრეთვე უპატრონო ბავშვების დასახმარებლად გადაირიცხება.**

**ნათელა ფაილოძე**

SOS!

# გავიყიდებით თუ არა ფულზე?

***ბოლო ხანს დასავლეთის პრესაში გაჩნდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ბუშმა და პუტინმა ხელი მოაწერეს კონსპირაციულ შეთანხმებას. მის თანახმად, რუსეთს უფლება მიეცემა შეინახოს და იმპორტირება გაუკეთოს იმ საწვავს, რომელიც აშშ-ს მიერ სხვადასხვა ქვეყნებში განთავსებულ ელექტროსადგურებს მიეწოდებათ. რუსეთი ამ საწვავის ნაწილს გააუვნებლებს, ნაწილს კი შეინახავს. ინფორმაციის გაჟღერებისთანავე რუსეთის „მინატომმა“ გააკეთა განცხადება, რომ მსგავსი ხელშეკრულება არ არსებობს. შეთანხმებას კი, ხელი რომც მოეწეროს, რუსეთში აშშ-ს გადამუშავებული ატომური საწვავი, მაინც არ შევა, რადგანაც „ჩვენ ჩვენი დასამარხიც ბევრი გვაქვს“, – აცხადებენ რუსები. დღეისათვის რუსეთში 10 ატომური სადგური მუშაობს. ამასთან ერთად რუსეთი 13 სხვადასხვა ქვეყანაში ემსახურება ათეულობით ატომურ ქვესადგურს, რომლის ნარჩენები შედის რუსეთში და იმარხება (გადამუშავდებაძ.***

დღეისათვის რუსეთი ატომურ ნარჩენებს სამ რეგიონში მარხავს – არქიპელაგი ახალი მიწა, ჩიტის მხარე და კურილიის კუნძულები. არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროზაშჩიტის“ ხელმძღვანელი ვლადიმერ სლივიაკი შეშფოთებას გამოთქვამს ფარული გარიგებისა და ატომური ნარჩენების სამარხების სეისმურად საშიშ ზონებში განლაგების გამო. მისი აზრით, კატასტროფის შემთხვევაში მოსალოდნელი სავალალო შედეგი ჰიროსიმაზე 10-ჯერ უფრო დამანგრეველი იქნება. ამჟამად, ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოში ფუნქციონირებს 441 ატომური ბლოკი. უკვე გადამუშავებულია 200 ათას ტონა ატომური საწვავი. აქედან გაუვნებელყოფილია მხოლოდ 30 ათასი ტონა. ექსპერტთა მოსაზრებით, 2015 წლისათვის გადამუშავებული ატომური საწვავი 400 ათას ტონას გადააჭარბებს. გაუვნებელყოფილი კი მხოლოდ 140 ათას ტონამდე იქნება.

რუსების მიკიბულ-მოკიბულ მსჯელობას ნათელი მოჰფინა აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა ფრედერიკ ჯონსმა. მისი ოფიციალური განცხადების მიხედვით რუსეთისათვის ატომური საწვავის ნარჩენების შეთავაზებით აშშ ერთბაშად ორ პრობლემას მოაგვარებს – წარმოებული საწვავის დასაწყობებისა და რუსეთის ირანის პრობლემაში თავის მოკავშირედ ჩართვისას. ამ შეთავაზებით შტატები რუსეთს სერიოზულ ბიზნესპარტნიორობასაც სთავაზობს. დღეისათვის 20 ტონა ატომური საწვავის გადამუშავება 20 მილიარდი დოლარი ღირს. რუსეთში არსებული ამ პროფილის ერთადერთი ჩელიაბინსკის ქარხანა წელიწადში 400 ტონას ამუშავებს. ნელ-ნელა იკვეთება დასავლეთის პოზიცია. სუპერსახელმწიფოები ცდილობენ გადამუშავებული საწვავი თავიანთი ქვეყნებიდან რაც შეიძლება შორს გაიტანონ და ამისთვის სოლიდურ თანხებსაც იძლევიან.

* * *

დედაქალაქში გავრცელდა ხმები, რომ თბილისის აეროპორტთან უნდა აშენდეს რადიაციული ნარჩენების გადამმუშავებელი ქარხანა. როგორც ირკვევა, ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მკაცრადაა გასაიდუმლოებული, ისევე, როგორც მშენებლობაში კადრების შერჩევის საკითხებიც.

გავრცელებულ ხმებს არარეალურს უწოდებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული სამსახურის უფროსი სოსო კაკუშაძე. მისი განმარტებით, მსგავსი ქარხანა არ აშენდება „რადიაციული ნივთიერებების გადამუშავება არც ერთ ქვეყანაში არ ხდება“, – აცხადებს იგი, მაშინ, როდესაც ოფიციალური მონაცემებით, მსგავსი ქარხნები არსებობს რუსეთში, ინგლისსა და საფრანგეთში. ამ პროფილის ქარხნის მშენებლობა დაიწყო იაპონიამაც.




კაკუშაძის განმარტებით, ხელისუფლებას დიდი სურვილი აქვს აშენდეს რადიოაქტიური (გადამუშავებულიძ ნივთიერებების „შესანახი“, რა დროსაც ნარჩენები ფასოვდება სპეციალურ კონტეინერებში და საიმედოდ ინახება. როგორც ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში არსებობენ საწარმოები, რომელთაც დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერებების ნარჩენები დაუგროვდათ. საჭიროა მათი დაუყოვნებლივი გატანა. ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლის განმარტებით, ჩვენთან უნდა აშენდეს საცავი და არა სამარხი.

სამარხები ბოლო დროს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებთ სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ბევრი მათგანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას რადიაციული ფონის მომატებასა და დასახლებულ რაიონთან რადიაციული სამარხების არსებობას უკავშირებს. გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, მსგავსი სამარხები მოსახლეობისათვის სახიფათო არ არის. ისინი დაცულია. პერიოდულად მოწმდება მათი რადიაციული დონე, ჯეროვანი კონტროლის შემთხვევაში კი საფრთხე გამორიცხულია.

რაც შეეხება სამარხების დასახლებული პუნქტებიდან შორს გატანის საკითხს, კაკუშაძე განმარტავს, რომ სამარხების გადატანა შეუძლებელია. მისი გახსნა და გადატანა პრაქტიკულად გამორიცხულია. ამას უზარმაზარი თანხები სჭირდება. სამარხებში არის ბეტონის უზარმაზარი ორმოები, რომლებიც უჟანგავი ლითონითაა დახურული. მისი გახსნის მცდელობისას კი ადამიანი სასიკვდილოდ დაზიანდება. მას სპეციალიზირებული დაცვა იცავს.

რადიოაქტიური ნივთიერებები თავის გამანადგურებელი მოქმედების უნარს საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებენ. რამდენ ხანს გაძლებენ მომავალში ჩვენში ასაშენებელი საცავების კონტეინერების დაუჟანგავი ფილები, ძნელი სათქმელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სსრკ-ს არსებობის პერიოდში ამგვარ საცავებში 176 ავარია მოხდა, ადვილი გასათვალისწინებელია, რომ მთლად სასიამოვნო პერსპექტივის იმედი არ უნდა გვქონდეს.

**ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში თავიანთი დაუდევრობის გამო არაერთ რეგიონს მიადგა გამოუსწორებელი ზიანი. იქაურ მოსახლეობას ხელისუფლება ათეული წლობით უხდის კომპენსაციას, ზოგჯერ უცხო ქვეყნებში მომხდარი კატასტროფების დროს მოყოლილ თავის თანამემამულეებსაც კი. რა მოხდება ჩვენში?**

**ზაზა ბილიხოძე**

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

# ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. სსიპ ქ. თბილისის ხის მხატვრული დამუშავებისა და მეავეჯეთა პროფესიული ლიცეუმის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 2 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 50 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

2. თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 11,475 კგ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტ. შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. ქ. თბილისის №141 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 4,1 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

4. ქ. თბილისის №2 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 9,9 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

5. ქ. თბილისის №133 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 9 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

6. ქ. თბილისის №22 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული თუნუქის სავარაუდო წონაა 600 კგ. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

7. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული თუნუქის სავარაუდო წონაა 30 კგ. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 1 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

8. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 700 კგ. (მ.შ. 300 კგ. შავი ლითონი, 400 კგ. თუნუქი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. 1 ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე განისაზღვრება 15 აშშ დოლარით (1 ტონა შავ ლითონზე 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა თუნუქზე 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში). „ბე" 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

9. ქ. თბილისის №15 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 7,1 ტონა. (მ.შ. 6,5 ტ. შავი ლითონი, 0,6 ტ. თუნუქი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე განისაზღვრება 15 აშშ დოლარით (1 ტონა შავ ლითონზე 10 აშშ დოლარის ოდენობის ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა თუნუქზე 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში). „ბე" 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

10. ქ. თბილისის №16 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 9 ტონა (მ.შ. 7 ტ. შავი ლითონი, 2 ტ. თუნუქი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე განისაზღვრება 15 აშშ დოლარით (1 ტონა შავ ლითონზე 10 აშშ დოლარის ოდენობის ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა თუნუქზე 5 აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში). „ბე" 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

11. თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის ჯართის სავარაუდო წონაა 1,5 ტ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 106 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 30 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

12. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის ჯართის სავარაუდო წონაა 1000 კგ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 106 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 20 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

13. თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსის ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 1,8 ტ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 106 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტ. შავ ლითონზე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 75 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

14. თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსის ჩამოწერის შედეგად მიღებული ალუმინის სავარაუდო წონაა 20-25 კგ. ერთი კგ ალუმინის ღირებულება შეადგენს 1,1 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 10 კგ. ალუმინზე განისაზღვროს 1 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

15. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსის ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 2 ტ. ერთი ტონა ჯართის ღირებულება შეადგენს 106 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

16. სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის ჯართის სავარაუდო წონაა 220 კგ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 110 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 100 კგ. შავ ლითონზე შეადგენს 1 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბე" 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06 წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 17 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 16 თებერვალს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებულიძ, ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ: 93-29-94.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 17 იანვრის №2 (501ძ-ში.

# ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | ბალანსის მფლობელი ორგანიზაცია | ავტომანქანის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი გაყიდვის ფასი აშშ დოლარებში | ბიჯი აშშ დოლარში | „ბე" აშშ დოლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს სოფლის მეურნეობის [illegible] სახელმწიფო [illegible] | [illegible] სახ.№NON-317 | 1994 | 925 | 50 | 200 |
| 2 | საქართველოს სოფლის მეურნეობის [illegible] სახელმწიფო [illegible] | გაზ-31029 სახ.№RRR-166 | 1995 | 775 | 50 | 150 |
| 3 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | [illegible] სახ.№KKK-669 | 1997 | 1000 | 100 | 300 |
| 4 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | [illegible]-900 სახ.№OAE-780 | 1996 | 2500 | 100 | 750 |
| 5 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | [illegible] 900 სახ.№CII-203 | 1983 | 2150 | 100 | 500 |
| 6 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | გაზ-31029 სახ.№GGD-307 | 1995 | 2200 | 100 | 600 |
| 7 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | გაზ-31029 სახ.№ACD-947 | 1996 | 875 | 50 | 300 |
| 8 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | გაზ-31029 სახ.№AEB-864 | 1996 | 850 | 50 | 300 |
| 9 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | გაზ-3110 სახ.№YYY-088 | 1995 | 2925 | 100 | 850 |
| 10 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | [illegible] სახ.№BBB-596 | 1997 | 1000 | 100 | 350 |
| 11 | საქართველოს [illegible] | [illegible] 230 სახ.№TIA-003 | 1993 | 550 | 50 | 150 |
| 12 | საგარეო [illegible] | [illegible] სახ.№BBX-511 | 1991 | 325 | 50 | 100 |
| 13 | საგარეო [illegible] | BMW-524 სახ.№VIP-400 | 1988 | 1450 | 100 | 400 |
| 14 | სსიპ „[illegible]" | გაზ-3741 სახ.№AAE-996 | 1988 | 250 | 50 | 80 |
| 15 | საქართველოს [illegible] | გაზ-31029 სახ.№NMN-068 | 1996 | 1100 | 100 | 300 |

**შენიშვნა:** მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრა 10 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06 წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 22 იანვრიდან 21 თებერვლის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 21 თებერვალს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალურიძ, ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-29-94.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 17 იანვრის №2 (501ძ-ში.



**მოსამართლე როინ კახიძემ დასაბუთებულად ცნო პროკურატურის ბრალდება იმის თაობაზე, რომ ასლან აბაშიძე სასამსახურო მდგომარეობას იყენებდა ანგარების მიზნით, აგრეთვე იქ ითვისებდა სახელმწიფო სახსრებს**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ერევნის გავლით

**თბილისში დაბრუნდა რუსეთის ფედერაციის ელჩი ვიაჩესლავ კოვალენკო, რომელიც გასული წლის სექტემბერში გაიხმეს საქართველოდან ორ ქვეყანას შორის მკვეთრად გაუარესებული ურთიერთობის გამო. თბილისში ჩამოსვლა რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაურს შემოვლითი გზით მოუწია — ჯერ ჩაფრინდა ერევანში, საიდანაც საელჩოს მანქანით ჩამოიყვანეს საქართველოს დედაქალაქში. როგორც ცნობილია, მოსკოვსა და თბილისს შორის ჯერჯერობით არ აღდგენილა არც პირდაპირი საჰაერო და არც რაიმე სხვა სატრანსპორტო მიმოსვლა, და დიპლომატებიც კი იძულებული არიან ერთი დედაქალაქიდან მეორეში შემოვლითი გზებით ჩავიდნენ.**

მოსკოვიდან გამოფრენის წინ კოვალენკომ ჟურნალისტებს აცნობა, რომ უახლოეს მომავალში თბილისში დაბრუნდება საელჩოს ყველა თანამშრომელი, და გამოთქვა იმედი, რომ ახლო მომავალში მოგვარდება ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა პრობლემა.

იმედიანად არიან თბილისშიც, სადაც რუსეთის საელჩოს მუშაობის განახლებას მიიჩნევენ „კარგ ნიშნად" და „კრემლის მიერ მიღებულ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად". როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა თქვა, ეს გადაწყვეტილება დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოთაშორისი გართულებული ურთიერთობის ნორმალიზაციის მთელ პროცესზე. მან გამოთქვა რწმენა, რომ თბილისში რუსეთის ელჩის მუშაობა ისეთივე „ნაყოფიერი იქნება, როგორც წინა წლებში".

თუმცა, საქართველოს ხელისუფლებაში პუტინის მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯს მიიჩნევენ თბილისის გამარჯვებად მოსკოვთან ოთხთვიან დაპირისპირებაში. კერძოდ, თბილისში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნების სურვილი პირველმა სწორედ მოსკოვმა გამოთქვა და საერთოდ, როგორც რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების საქმეთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ნიკა გვარამიამ განაცხადა, „საქართველოდან ელჩის გამოხმობა იმთავითვე იყო არამიზანშეწონილი და არასერიოზული ნაბიჯი, რომელიც არ შეეფერება ცივილიზებული ქვეყნების ურთიერთობას". თავის მხრივ, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორმა, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ მოსკოვის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულ „რეპრესიულ ღონისძიებებს იმთავითვე არ ჰქონდა არანაირი აზრი, და ძალზე კარგია რუსეთმა რომ შეიგნო ეს, და ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვმა გადადგა ახალი ნაბიჯები ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით".

თბილისში იმედი აქვთ, რომ ელჩის დაბრუნების შემდეგ, მოსკოვი უახლოეს მომავალში გადაწყვეტს ასევე ორ ქვეყანას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განახლებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გაცემის საკითხებს. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის არ არის საკმარისი მარტო რუსეთის ელჩის დაბრუნება საქართველოში. „მხოლოდ შეიძლება მივესალმოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნების პოზიტიურ მცდელობას, მაგრამ ამ ურთიერთობის სრული ნორმალიზაციისათვის საჭიროა მთელი რიგი კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა, — განუცხადა ბურჯანაძემ ჟურნალისტებს. — თუ რუსეთი გადადგამს ასეთ ნაბიჯებს, ამას საქართველო მხოლოდ მიესალმება".

ამავე დროს, ჯერ კიდევ გასულ კვირას მოსკოვმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ თბილისში რუსეთის ელჩის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ არ უნდა წარმოქმნას რაიმე ილუზიები იმის თაობაზე, რომ მოიხსნება შემოდგომაზე შემოღებული მთელი რიგი შეზღუდვები, რომლებიც ეხება საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემას, აგრეთვე ორ ქვეყანას შორის საავიაციო მიმოსვლის და საფოსტო ურთიერთობის აღდგენას. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 22 იანვარს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს შეზღუდვები შენარჩუნებული იქნება.

არ გამართლდა ასევე საქართველოს ხელმძღვანელობის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ იგი შეძლებდა მოსკოვზე ზემოქმედების მოხდენას საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. კერძოდ, საქართველოს დელეგაცია ცდილობდა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის დღის წესრიგში შეეტანათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი. თუმცა, თბილისში შიშობდნენ, რომ მოსკოვი შეძლებდა ამის დაბლოკვას.

როგორც სტრასბურგში გამგზავრების წინ განაცხადა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ, „სტრასბურგში ჩვენ მრავალი თანამოაზრე გვყავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედის 18 დეპუტატი, ჩვენ კი მხოლოდ ხუთნი ვართ. არ ვიცი, თუ რა წინასწარი სამუშაო განახორციელეს რუსმა დეპუტატებმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომის დაწყებამდე". როგორც ჩანს, ასეთი შეშფოთება უსაფუძვლო არ ყოფილა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ 22 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება არ გაემართა დებატები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. **რუსეთის დელეგაციის მეთაურმა, ამ ქვეყნის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე კოსაჩოვმა კი თავის მხრივ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ინფორმაცია თბილისში რუსეთის ელჩის დაბრუნების შესახებ.**

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ

# გალია აჭარის არწივისათვის

**22 იანვარს აჭარის ყოფილ მეთაურს, 68 წლის ასლან აბაშიძეს ბათუმის სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 92,2 მილიონი ლარის (57,7 მილიონი ამერიკული დოლარი) გადახდა.**

პროცესი ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. საბოლოო ანგარიშით, მოსამართლე როინ კახიძემ დასაბუთებულად ცნო პროკურატურის ბრალდება იმის თაობაზე, რომ ასლან აბაშიძე სასამსახურო მდგომარეობას იყენებდა ანგარების მიზნით, აგრეთვე იქ ითვისებდა სახელმწიფო სახსრებს.

ადვოკატ შალვა შავგულიძის თქმით, ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილებას გააპროტესტებენ ზემდგომ ინსტანციებში. 2005 წელს სასამართლომ მოახდინა ასლან აბაშიძის და მისი ნათესავების ქონების ნაწილის კონფისკაცია: მიწის ნაკვეთები, სახლები, დაახლოებით 55 მილიონი დოლარის აქციები.

როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს აჭარის სამართალდამცავ ორგანოებში, საქმე მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. აბაშიძეს ასევე ბრალად ედება ტერორისტული აქტების მომზადება, საქართველოს დანარჩენ ნაწილთან აჭარის დამაკავშირებელი ხიდების აფეთქება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, ოპოზიციონერთა დაპატიმრება.

ოპოზიციის ზემოქმედებით, ასლან აბაშიძემ 2004 წლის 6 მაისს დატოვა აჭარის ავტონომია, რომელსაც იგი უცვლელად ედგა სათავეში 13 წლის განმავლობაში, და მოსკოვს შეაფარა თავი. მაშინ ასეთი ნაბიჯის გადადგმის მიზანშეწონილობაში აბაშიძის დასარწმუნებლად მოსკოვიდან ბათუმს ჩაფრინდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი. როცა აბაშიძე ტოვებდა აჭარას, ჰქონდა ხელშეუვალობის გარანტიები, რომელიც მას მისცა საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. მაგრამ მოგვიანებით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განმარტა, რომ პრეზიდენტი „გულისხმობდა პოლიტიკური რეპრესიების დაუშვებლობას და არა სისხლის სამართლით დასჯად მოქმედებებს".



2006 წლის მაისში საქართველოს ხელისუფლებამ ინტერპოლის მეშვეობით ასლან აბაშიძე საერთაშორისო ძებნილად გამოაცხადა. 2006 წლის ივნისში, სანკტ-პეტერბურგში თავის ქართველ კოლეგასთან მიხეილ სააკაშვილთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ასეთ გადაწყვეტილებას „უცნაური" უწოდა. „ვვარაუდობდი, რომ ქართველი პარტნიორები მოითხოვდნენ აბაშიძის გადაცემას, რუსეთი კი ამას არ გააკეთებდა და ჩვენ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. მაგრამ ჩვენ ხომ თავის დროზე გვითხრეს, რომ აბაშიძის გადმოცემას არავინ მოითხოვდა", — განმარტა პუტინმა.

ეს პრობლემა შესაძლოა გახდეს დამატებითი გამღიზიანებელი ფაქტორი მოსკოვი-თბილისის ურთიერთობაში. „ხელისუფლება აბაშიძეს დაპირდა, რომ მის მიმართ არ ექნებოდა პრეტენზიები, მაგრამ მოგვიანებით ეს პოზიცია შეცვალა", — განაცხადა თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ყოფილმა მეთაურმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა. როგორც მან თქვა, არ იცის, თუ სად იმყოფება ამჟამად აბაშიძე და რა საქმიანობას ეწევა იგი.

თბილისშიც აბაშიძის შესახებ მწირი ინფორმაცია აქვთ. იგი ცხოვრობს „სადღაც მოსკოვში" და „ეწევა ბიზნესს". პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჭარის ყოფილი ლიდერი უკანასკნელად გაიხსენა 2006 წლის შემოდგომაზე ბათუმის რეკონსტრუირებული ცირკის გახსნის დროს. მაშინ იგი არენაზე გამოვიდა და ბავშვებს მოუყვა ზღაპარი „ბოროტი ბაბუა ასლანის" შესახებ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ცხოვრობდა აჭარაში. „მან გადაწვა ცირკი, დააშრო შადრევნები, დახურა ზოოპარკი და დელფინარიუმი, მაგრამ ხალხმა ეს ვერ მოითმინა და ბოროტი ასლანი განდევნა იქ, სადაც მისი ადგილია — ჩრდილოელ დათვებთან".

გასულ კვირას ბათუმში განახორციელეს თავისუფლების მონუმენტის დემონტაჟი. იგი განასახიერებდა ფრთაგაშლილ არწივს. ეს მონუმენტი თავის დროზე აჭარის ხელისუფლებას 400 ათას დოლარზე მეტი დაუჯდა. არწივი ასლან აბაშიძის პარტიის „აღორძინების" სიმბოლო იყო.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# საქართველო სხვაგვარად ალაპარაკდა

**ქართულ-აფხაზური პრობლემის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოში დანიშნული სხდომის წინ თბილისმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ტრადიციულ ემოციურ რიტორიკაზე და განაცხადა, რომ მზად არის ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე დაიწყოს მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან.**

ქართული მისიის ინიციატივით ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში ორგანიზებულ არაფორმალურ შეხვედრაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ აღნიშნა, რომ საქართველო განწყობილია კონსტრუქციულად და სურს დაარწმუნოს როგორც აფხაზეთი, ისე საერთაშორისო გაერთიანება, რომ მის მხრიდან არანაირი საომარი საფრთხე არ არსებობს. თავის მხრივ, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ირაკლი ალასანიამ დასძინა: „ერთადერთი ენა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ, ეს არის მშვიდობის ენა".

ქართული დიპლომატის თქმით, თბილისი აპირებს გამოთქვას ახალი ინიციატივები კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ შვეიცარიაში თებერვლისთვის დანიშნულ შეხვედრაზე. **„ამ ინიციატივებმა უნდა გაფანტოს სოხუმის შეშფოთება უშიშროების გარანტიების თაობაზე და საქართველოს გულისტკივილი აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემასთან დაკავშირებით",** — თქვა ალასანიამ.

საქართველოს დელეგაციამ დიპლომატებს გააცნო კოდორის ხეობაში შექმნილი სიტუაცია მას შემდეგ, რაც 2006 წლის ზაფხულში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ იქ შეიყვანა პოლიციელთა ძალები.

ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ ზემო აფხაზეთში არ არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები, იქ მხოლოდ პოლიციელები მოქმედებენ.



ამავე დროს, აფხაზური მხარე კვლავ დაჟინებით აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში ნებისმიერი შეიარაღებული ფორმირების, მათ შორის პოლიციელთა ძალების ყოფნა ეწინააღმდეგება მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების პრინციპებს.

რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა მანამდე ასევე განაცხადა, რომ მოსკოვი ბოლომდე არ არის იმით კმაყოფილი, თუ როგორც ასრულებს თბილისი გაეროს უშიშროების საბჭოს № 1716 რეზოლუციის მოთხოვნებს, რომელიც მიიღეს გასული წლის ოქტომბერში რუსეთის ინიციატივით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გასულ კვირას უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაციის შესახებ და გამოთქვა სერიოზული შეშფოთება გალის რაიონში ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი ინციდენტების გამო.

**თავის მხრივ, „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის" საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ დღეებში გამოაქვეყნა მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემათა შესახებ. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თბილისმა შეიმუშავა ახალი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მოლაპარაკების და სამშვიდობო ოპერაციის ფორმატების შეცვლას, რათა უახლოეს მომავალში ორივე მიმართულებით შემცირდეს რუსეთის გავლენა. „მოსკოვი და სოხუმი ილაშქრებენ ასეთი ცვლილებების წინააღმდეგ, მაგრამ მათ პოზიციას არ ეთანხმებიან საქართველოს დასავლელი პარტნიორები", — აღნიშნულია დოკუმენტში.**

**პეტრე ალექსეევი**

Утро.ru

№ 13. ორშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

**ჩინეთმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ განახორციელა კოსმოსური იარაღის გამოცდა, რომლის დროსაც გაანადგურა თანამგზავრი, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დედაქალაქში**



# ჩინეთმა დაადასტურა, რომ თანამგზავრი ჩამოაგდო

**ჩინეთმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ განახორციელა კოსმოსური იარაღის გამოცდა, რომლის დროსაც გაანადგურა თანამგზავრი, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დედაქალაქში.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლიუ ძიანჩაომ აღიარა გამოცდის განხორციელების ფაქტი, მაგრამ დასძინა, რომ მისი ქვეყანა კვლავ ერთგულობს „კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი განვითარების" იდეას.



გამოცდის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას: რამდენიმე ქვეყნის სათვალთვალო სისტემებმა დააფიქსირეს ჩინეთის ტერიტორიიდან გაშვებული სახმელეთო ბაზირების მოქმედების საშუალო რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტა, რომელმაც გაანადგურა მეტეოროლოგიური თანამგზავრი, თავისი მოქმედების რესურსი რომ ამოწურა.

აღსანიშნავია, რომ ეს არის ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტის პირველი ტესტი, ყოველ შემთხვევაში, სხვა მსგავს გამოცდათა განხორციელების შესახებ აქამდე ცნობილი არ ყოფილა.

რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის იაპონიამ, ავსტრალიამ და შეერთებულმა შტატებმა, გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ მოვლენათა ასეთმა განვითარებამ შესაძლოა მისცეს დასაბამი კოსმოსში გამალებული შეიარაღების დაწყებას. თვით ჩინეთის ხელისუფლება კი სამშაბათამდე არც ადასტურებდა და არც უარყოფდა გამოცდის განხორციელების ფაქტს.

ახლა კი, როგორც ლიუ ძიანჩაომ განუცხადა ჟურნალისტებს, პეკინმა შეატყობინა „სხვა ქვეყნებს და ამერიკის მხარესაც" გამოცდის განხორციელების შესახებ.

„American Aviation Week and Space Tecnology" ჟურნალის მონაცემებით, 11 იანვარს ჩინეთის „ფენ იუნ 1C" მეტეოროლოგიური თანამგზავრი, რომელიც დედამიწიდან 865 კილომეტრ სიმაღლეზე იმყოფებოდა პოლარულ ორბიტაზე, გაანადგურა ჩინეთის სიუჩანის კოსმოსური ცენტრის რაიონიდან გაშვებულმა თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემამ.

ხუთშაბათს საღამოს ეს ინფორმაცია დაადასტურა გაეროს უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა გორდონ ჯონდრომ. როგორც მან აღნიშნა, „შეერთებული შტატების აზრით, ჩინეთის მიერ ასეთი შეიარაღების განვითარება და გამოცდა არ შეესაბამება იმ თანამშრომლობის სულისკვეთებას, რომლითაც ორივე ქვეყანა ეკიდება კოსმოსის მშვიდობიან ათვისებას".

**ჩინეთი მესამე ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს კოსმოსში სამიზნის განადგურება. მანამდე, 1980-იან წლებში, თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტები გამოსცადეს შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირში, მაგრამ, შემდეგ გადაწყდა ამის აკრძალვა, რადგან სამიზნის ნამსხვრევებს შეეძლოთ დაეზიანებინათ სამოქალაქო და სამხედრო თანამგზავრები, ან სხვა კოსმოსური ობიექტები.**

# ცენტრალური აზია თავდაცვისთვის ემზადება

**ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოურმა ქვეყნებმა, რომლებმაც განსაზღვრეს თავიანთი ბიუჯეტები, ახალი წლისთვის თავდაცვისთვის გამიზნული ხარჯებიც დაგეგმეს.**

გასული წლებისგან განსხვავებით წელს ეს პროცესი გამოირჩევა იმით, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებს მათი ეკონომიკის განვითარების ტემპს, ხოლო ყაზახეთმა თავისი სამხედრო ხარჯები ერთიორადაც კი გაზარდა.

ამრიგად, 2007 წლისთვის ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოურ სახელმწიფოთა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დაგეგმილია სულ ცოტა 9-10 პროცენტის დონეზე, მათი სამხედრო ხარჯების ზრდამ კი თითქმის 48 პროცენტი შეადგინა.

ყაზახეთის დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად, მიმდინარე წელს თავდაცვისთვის გამოყოფილმა სახსრებმა მილიარდიან ნიშნულს გადააჭარბა და 1,22 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა (2006 წელს ეს მაჩვენებელი 0,6 მილიარდ დოლარს უტოლდებოდა).

სამხედრო ხარჯების ზრდის ეს ტემპი ყველაზე დაჩქარებულია მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში (ყაზახეთის გარდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან 2007 წელს მხოლოდ აზერბაიჯანი მიუახლოვდა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის ზრდის ასეთ ტემპს).

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ხარჯები არცთუ ისე მძიმე ტვირთად აწვება ყაზახეთს, რადგან იგი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1,2 პროცენტს შეადგენს. ყაზახეთმა შეძლო სამხედრო ხარჯების გაზრდა თავისი ეკონომიკის აქტიური ზრდის წყალობით. ამის შედეგად მან დაიწყო თავისი არმიის ინტენსიური ხელახალი შეიარაღება, კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის შექმნა და ქვეყნის ჯარების 70 პროცენტით პროფესიულ საწყისებზე გადაყვანა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავდაცვისთვის კვლავ მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავს უზბეკეთიც. 2006 წელთან შედარებით ამ ქვეყანაში თავდაცვის მიზნით გაღებული სახსრების რაოდენობა წლეულს 100 მილიონი ამერიკული დოლარით გაიზარდა და ახლა 902,4 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 4,8 პროცენტია. მთლიანი შიდა პროდუქტიდან თავდაცვისათვის გამოყოფილი ხარჯების ხვედრითი წილის მიხედვით, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

უზბეკეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ყაზახეთის ამ მაჩვენებლის მხოლოდ მეხუთედს შეადგენს, თუმცა სამხედრო ხარჯების მიხედვით შეფარდება ასეთია: 8:10.



თავდაცვისათვის ტაშკენტის მიერ ასეთი დიდი სახსრების გამოყოფა შეიძლება აიხსნას ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, რომელიც უკავშირდება მისი დესტაბილიზაციის მცდელობას, როგორც ეს მოხდა 2005 წლის მაისში, ანდიჟანის მოვლენათა დროს.

ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლების მიხედვით მესამე ადგილზეა თურქმენეთის სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 2006 წელთან შედარებით 37 პროცენტით გაიზარდა და ახლა დაახლოებით 116 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სახსრები მხოლოდ ჯარების შენახვას ხმარდება. მათი აღჭურვისათვის კი გამოყოფილია ბიუჯეტის სხვა სახსრები. მაგალითად, გაზის მიწოდების სანაცვლოდ, აშხაბადმა უკრაინაში შეისყიდა და შეაკეთა თითქმის 500 ამერიკული დოლარის სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა. ამ ქვეყანაში გასაიდუმლოებულია მონაცემები იმის თაობაზე, თუ რა თანხები ხმარდება ქვეყნის უშიშროების სამსახურისა და პოლიციის შენახვას. მაგრამ მარტივი ანალიზი ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს: ეს თანხები გაცილებით უფრო მეტია იმასთან შედარებით, რომლებიც თავდაცვისთვის იხარჯება. 5-მილიონიან თურქმენეთს ჰყავს დაახლოებით 50-ათასიანი შეიარაღებული ძალები და თითქმის 100 ათასი კაცი მუშაობს ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში. ამრიგად, სავარაუდოდ, თავდაცვისა და უშიშროებისთვის თურქმენეთი წელიწადში სულ ცოტა 500-600 ამერიკულ დოლარს ხარჯავს.

**ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის სამხედრო ხარჯების მიხედვით აშკარა „აუტსაიდერები" არიან ტაჯიკეთი (52,2 მილიონი დოლარი) და ყირგიზეთი (40,4 მილიონი დოლარი). ეს სახსრები ამ სახელმწიფოთა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 1,5 პროცენტს შეადგენენ. ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში თავდაცვისა და უშიშროების სათანადო დონეზე შენარჩუნება ძირითადად ხდება რუსეთის დახმარების, აგრეთვე ამ ქვეყნების ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების ყოფნის წყალობით.**

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

# ლიბანში საყოველთაო გაფიცვა მიმდინარეობს

**ათასობით დემონსტრანტმა გადაკეტა გზები ბეირუთში და მოახდინა ქვეყნის დედაქალაქისკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალების ბლოკირება. ყოველივე ეს ხდება საყოველთაო გაფიცვის ფარგლებში, რომელიც ლიბანში მიმდინარეობს „ჰესბოლას" მოძრაობის ინიციატივით. მომიტინგეები წვავენ ავტომობილის საბურავებს და ქვებისგან აშენებენ ბარიკადებს, რათა ხელი შეუშალონ იმათ, ვისაც სამსახურში მისვლა სურს.**

გაფიცვის ორგანიზატორთა განცხადებით, ეს აქცია არის მხოლოდ ნაწილი კამპანიისა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ფუად ას-სინიორას მთავრობის დამხობას.

ხელისუფლებამ, თავის მხრივ, გამოაცხადა, რომ შეიძლება გამოიყვანოს ჯარები დედაქალაქში წესრიგის დამყარების მიზნით. მთავრობის წყაროები აღნიშნავდნენ, რომ გახსნილნენ ძირითად საავტომობილო მაგისტრალებს, მაგრამ რაიმე აქტიური ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ გადადგმულა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, დემონსტრანტებმა გადაკეტეს ბეირუთის რაფიკ ჰარირის სახელობის საერთაშორისო აეროპორტისკენ მიმავალი ერთადერთი გზა და ტრასები, რომლითაც ბეირუთი უკავშირდება სირიის დედაქალაქ დამასკოს, აგრეთვე ლიბანის სხვა ქალაქებს. დემონსტრაციები ქვეყნის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც დაიწყო.

ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა რამდენჯერმე სცადეს დედაქალაქში გზების გახსნა, მაგრამ ახლა უკვე თავს იკავებენ აქტიური მოქმედებისგან. და მაინც, არის მონაცემები იმის შესახებ, რომ სულ ცოტა სამი ადამიანი დაჭრეს სროლის დროს, როცა ისინი ცდილობდნენ გადაეკეტათ ლიბანის ჩრდილოეთში მდებარე ქრისტიანების მთავარი ქალაქის — ბიბლოსისკენ მიმავალი გზა. თვით მომიტინგეთა თქმით, ისინი აპირებენ მანამდე განაგრძონ დემონსტრაციები, სანამ არ მიაღწევენ დასახულ მიზანს.

შეგახსენებთ, რომ „ჰესბოლას" სურს მიაღწიოს ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბებას, რომელშიც ამ მოძრაობას და მის მომხრეებს ექნებათ უმრავლესობა და ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება.

**ვითარება ქვეყანაში დაიძაბა გასული წლის 1 დეკემბრიდან, როცა ბეირუთში დაფიქსირდა ოპოზიციის პირველი მასობრივი გამოსვლა.**



# სასწრაფო ზომების მიღებას მოითხოვენ

**ამერიკის რამდენიმე მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელებმა მოუწოდეს ქვეყნის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს მიიღოს ზომები გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრის მიზნით.**

9 მსხვილი კორპორაციის მესვეურები დარწმუნებული არიან, რომ პრეზიდენტმა მხარი უნდა დაუჭიროს ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი აირის გამოფრქვევაზე სავალდებულო ლიმიტის დაწესებას.

ეს საკითხი იქნება ერთ-ერთი, რომელსაც ბუში წამოჭრის კონგრესისადმი თავის ტრადიციულ ყოველწლიურ მიმართვაში. მაგრამ, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, პრეზიდენტი არ აპირებს რაიმე აუცილებელი ნორმების შემოღების მოთხოვნას.

ჯორჯ ბუშს წინათაც არაერთგზის უთქვამს, რომ ეს იდეა მიუღებელია; 2001 წელს კი შეერთებულმა შტატებმა გამოიხმო თავისი ხელმოწერა კიოტოს ოქმიდან.

„ჩვენ შეგვიძლია და დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები იმისთვის, რომ შევიმუშაოთ კლიმატის დაცვისთვის გამიზნული კოორდინირებული, ყოვლისმომცველი და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ღონისძიებები", — ხაზგასმულია პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ ღია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ მთელი რიგი მსხვილი ბიზნესმენები.

**ამ ადამიანებმა ჩამოაყალიბეს USCAP ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ მიაღწიონ სათბურის გაზის გამოფრქვევაზე მკაცრი ლიმიტების შემოღებას, რათა 2050 წლისთვის ამ აირის გამოფრქვევის მოცულობა 60 პროცენტით და მეტით შემცირდეს.**


საქმე №2/156

## განჩინება

**შპს „მირიანი-ი"-ს კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

ქ. კასპი 22 იანვარი, 2007 წ.

კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. ენუქიძემ

დავადგინე

1. შპს „მირიანი-ი"-ს გაკოტრების მმართველის ვახტანგ კაპანაძის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. შპს „მირიანი-ი"-ს კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2007 წლის 30 იანვარს, 12 საათზე, ქ. კასპში, კასპის რაიონული სასამართლოს შენობაში.
3. კრედიტორთა კრების დღის წესრიგი განისაზღვროს:
აძ შპს „მირიანი-ი"-ს კრედიტორული მოთხოვნებისა და დებიტორული დავალიანებების დაზუსტება.
4. განჩინება გამოქვეყნდეს ცენტრალურ პრესაში და გამოთავსდეს სასამართლოს დაფაზე. განჩინების ასლი გაეგზავნოს აღიარებულ კრედიტორებს.

მოსამართლე მ. ენუქიძე



**2007 წ. 15 თებერვალს, 15 სთ-ზე მოწვეულია სენაკის სააქციო საზოგადოება „კოლხეთის" კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. წლიური ანგარიშსწორება;
2. ს.ს. ვალების დაფარვა;
3. მიწის შესყიდვა;
4. იაფფასიანი და ამორტიზებული ქონების ჩამოწერა;
5. ქონების ნაწილის გაყიდვა;
6. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
7. გაყოფა, რეორგანიზაცია.

**სამეთვალყურეო საბჭო**

# დღის ამბები

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

**„მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ვეტერანების სამართლიან მოთხოვნებს. ფაქტობრივად, „გაუქმებულია 1995 წლის 17 ოქტომბერს მიღებული კანონი, რომელიც ომისა და სამხედრო ძალოვანების ვეტერანთათვის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებდა“**

ინფორმაცია

## ლეგიტიმური წარმომადგენლობები რეგიონებში

**აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ რეგიონული წარმომადგენლობების ფორმირება დაასრულა. მთავრობის სამი წარმომადგენლობა იმერეთში, სამეგრელოსა და თბილისში განთავსდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აფხაზეთის ლეგიტიმური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მალხაზ აქიშბაიამ განაცხადა.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობასთან, რომელიც ზუგდიდში განთავსდა, ურთიერთობა ექნებათ იმ დევნილებს, რომლებიც გურიასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობენ. ამავე წარმომადგენლობაში შევა გალის რაიონის ყოფილი გამგეობაც და მას რაიონის ყოფილი გამგებელი ბადრი ბულისკირია უხელმძღვანელებს.

იმერეთის წარმომადგენლობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონებს დაფარავს და მას ოთარ კუხალაშვილი ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება თბილისის წარმომადგენლობას, იგი დაფარავს მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს, რომელსაც სოხუმის ყოფილი მერი დავით ცანავა უხელმძღვანელებს.

აქიშბაიას თქმით, აფხაზეთის რაიონების გამგეობებში მომუშავე პირების 80 პროცენტი კვლავ სამსახურში დარჩა. მისივე თქმით, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლობებს არანაირი კავშირი არ ექნებათ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან.

## მშვიდობის ენა ერთადერთი სალაპარაკო ენაა

**საქართველოს ხელისუფლება მზად არის, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყოს. ამის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკა ზღულაძემ გაეროში საქართველოს მისიის მიერ ინიცირებულ არაფორმალურ შეხვედრაზე განაცხადა, – იუწყება სააგენტო „ნოვოსტი გრუზია“.**

მინისტრის მოადგილის თქმით, საქართველო კონსტრუქციულად არის განწყობილი და არწმუნებს როგორც აფხაზურ მხარეს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ქართული მხრიდან სამხედრო მუქარა არ მოდის.



საქართველოს წარმომადგენელმა გაეროში ირაკლი ალასანიამ კი აღნიშნა, რომ ქართული მხარე კონფლიქტის დარეგულირების ახალი ინიციატივების შესახებ თებერვალში, შვეიცარიაში დაგეგმილ შეხვედრაზე ისაუბრებს. ერთადერთი სასაუბრო ენა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ, ეს მშვიდობის ენაა, – განაცხადა მან.

საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წარმომადგენლებმა გაეროში არაფორმალურ შეხვედრაზე დიპლომატებს ზემო აფხაზეთში არსებული მდგომარეობა გააცნეს.

## ვეტერანების პროტესტი

**ომის, შრომისა და ძალოვანი უწყებების ვეტერანები გაუქმებული სოციალური შეღავათების აღდგენას ითხოვენ.**

გუშინ პუშკინის სკვერში უწყებების ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. როგორც აქციაზე ომის, შრომის, სამხედრო ძალების ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ელვერ კუპატაძემ განაცხადა, შეკრება ხელისუფლების ანტისოციალურმა პოლიტიკამ განაპირობა. „მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ვეტერანების სამართლიან მოთხოვნებს. ფაქტობრივად, „გაუქმებულია 1995 წლის 17 ოქტომბერს მიღებული კანონი, რომელიც ომისა და სამხედრო ძალოვანების ვეტერანთათვის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებდა“, – აღნიშნა კუპატაძემ.

მისივე თქმით, მათი მოთხოვნები გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, მაგრამ მათგან პასუხი არ მიუღიათ.

კუპატაძემ მოუწოდა ვეტერანებს, რომ 24 იანვარს, 11.00 საათზე შეიკრიბონ პარლამენტის შენობის წინ და მათი უფლებების დასაცავად პერმანენტული აქციები მომავალშიც გამართონ.

## კიდევ ხუთი ობიექტი გაიყიდება

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ ხუთი ობიექტი გამოიტანა. პრივატიზაციიდან სამინისტრო 394 ათასი დოლარის მიღებას ვარაუდობს.**

აუქციონზე, რომელიც 22 თებერვალს გაიმართება, დუშეთში მდებარე ცენტრალური უნივერმაღის შენობა და ტყიბულის რაიონში, სოფ. მოწამეთაში მდებარე მაღაზია „ტექნიკა“ გაიყიდება.

გაიყიდება, აგრეთვე, ქუთაისში მდებარე რამდენიმე შენობა-ნაგებობა.

## ხმაური ფოთის აგრარულ ბაზარში

**ქალაქის ადმინისტრაციული ზედამხედველობის ინსპექციამ, მიუხედავად მოვაჭრეების წინააღმდეგობისა, სპეციალური ტექნიკით ჯიხურების დემონტაჟი მოახერხა და ტერიტორია გაათავისუფლა.**

მოვაჭრეები ამ ფაქტს პროტესტით შეხვდნენ. ისინი აცხადებენ, რომ პოზიციებს არ დათმობენ.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ზაზა უჩიძის თქმით, ხელისუფლება მოვაჭრეებს ალტერნატიულ ადგილებს სავაჭრო კომპლექსში სთავაზობს. თუმცა, უჩიძის თქმით, მათ იქ შესვლა და ვაჭრობა კატეგორიულად არ სურთ, რადგან ყოველდღიური გადასახადი კომპლექსის ტერიტორიაზე გაცილებით მაღალია.

## „დაკარგული“ ტაძარი

**ზუგდიდის რაიონში, სოფელ ყულიშკარში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სავალალო მდგომარეობაშია. ტაძრის კედლებზე უკვე გადაშლილი ფრესკებისა და ხატების ნაცვლად კომუნისტების დროინდელი წარწერებია შემორჩენილი. ტაძარს არც მრევლი ჰყავს და არც წინამძღვარი, მიზეზად კი უგზოობა სახელდება.** ტაძრიდან ამავე მიზეზით ადგილობრივი წინამძღვარი ანდრია ლიპარტელიანი წავიდა. მან ორი წელი იმსახურა. ტაძრის ეზოში უკვე გაპარტახებული ადგილობრივი დიდგვაროვნებისა და აფხაზი თავადების საფლავებიც არის, რუსული და აფხაზური წარწერებით. მათ შორისაა აფხაზი მთავრის კნიაზ ბეგო მეხმედ ბეგის ძე შერვაშიძის საფლავი, რომელიც დადიანების უახლოესი ნათესავი იყო.

ტაძარი XVII საუკუნეში ადგილობრივი თავადების, როგავების აშენებულია და ერთ დროს დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე მეტი გავლენით სარგებლობდა.

ყულიშკარის მოსახლეობის ინფორმაციით, 90-იან წლებში ტაძრის კუთვნილი სპილენძის ზარი ვინმე კიკალეიშვილმა მოიპარა, თუმცა მოსახლეობამ მას მიაგნო, ზარი ტაძარს დაუბრუნეს, კიკალეიშვილი კი სოფლიდან გააძევეს.

საქართველოს საპატრიარქოში განაცხადეს, რომ ასეთი ტაძრის შესახებ მათ არანაირი ინფორმაცია არა აქვთ, ისე კი, მისი აღდგენა ძეგლთა დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში შედის.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

პრეზიდენტი

## ხულოში სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნა



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ აჭარაში ჩავიდა. იგი ხულოს რაიონში სამკერვალო ფაბრიკის გახსნას დაესწრო.**

**არსებული ინფორმაციით, ფაბრიკაში ნახევარი მილიონი ლარის ინვესტიცია თურქმა ბიზნესმენმა ჩადო. ამ დროისთვის ფაბრიკაში 250 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული. ინვესტიციის სრულად განხორციელების შემდეგ კი ათასამდე ადამიანის დასაქმებაა დაგეგმილი.**

**სამკერვალო ფაბრიკაში ქალის შარვლებს კერავენ, რომლებიც საზღვარგარეთ იგზავნება.**

**– ასეთი საწარმოს გახსნით ხულოში, რომელიც ტრადიციულად მიგდებული რაიონი იყო, უმუშევრობის პრობლემა გადაწყდება. სამკერვალო საწარმოებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ასობით ათასი ადამიანი შეიძლება დასაქმდეს, – აღნიშნა პრეზიდენტმა.**

**გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა ხულოს რაიონში სპორტული სკოლაც გახსნა.**

SIC!

# მალე ოფიციანტების ქვეყანა ვიქნებით

### 204-ე საჯარო სამუსიკო სკოლა-პანსიონს დაფინანსება უწყდება. იაპონიაში კი მისი კურსდამთავრებულის სახელობის სკოლა დააარსეს

**კიდევ ერთი სავალალო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა ქართული ხელოვნება: საქართველოში ერთადერთი სპეციალიზებული სამუსიკო სასწავლებელი ხელისუფლებამ დაუფინანსებელი დატოვა, ანუ მისი 70 პედაგოგი და 224 მოსწავლე სანაგვეზე მოისროლა.**

სამღერეთის ქუჩაზე მდებარე 204-ე უძველესი საჯარო სამუსიკო სკოლა-პანსიონი შველას ითხოვს. ახლახან გაირკვა, რომ სახელმწიფომ მას შუა სასწავლო წელს მუსიკალური პროფილის დაფინანსება შეუწყვიტა. თუ 2006 წელს დაფინანსება 330 ათასი ლარი იყო, 2007 წლის იანვრიდან ეს თანხა 132 ათას ლარამდე შემცირდა, ანუ იგი მხოლოდ 100 ბავშვის პანსიონურ მომსახურებას გასწვდება.

7 მეთერთმეტეკლასელი, წლეულს კონსერვატორიაში რომ აპირებდა მისაღები გამოცდების ჩაბარებას, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩება.

იმის მიუხედავად, რომ სკოლის მოსწავლეებმა დასახმარებლად მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას სპეციალური წერილები გაუგზავნეს ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ მანანა ახმეტელმა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა, განათლების სამინისტროსგან პასუხი არ ისმის, როგორც იტყვიან, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“...

იმედგადაწურულმა პედაგოგებმა ბოლოს ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანება „ეროვნულ ფორუმს“ მიმართეს.

„ეროვნული ფორუმის“ წევრებისა და 204-ე საჯარო სამუსიკო სკოლა-პანსიონის თანამშრომლების შეხვედრაზე ითქვა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 27-ე და 56-ე მუხლების საფუძველზე, სადაც ნათქვამია, რომ სახელოვნებო სწავლებას „დარგობრივი სამინისტრო, ანდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ აფინანსებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამუსიკო სწავლების დაფინანსება შეუწყვიტა.

სკოლის დირექტორის სპარტაკ წიქარიძის ცნობით, განათლების სამინისტრომ სკოლა-პანსიონი კულტურის სამინისტროს გადაულოცა, ხოლო კულტურის სამინისტრომ უსახსრობა მოიმიზეზა და თანახმაა, რომ სკოლა მხოლოდ ინსტიტუციონალურ დაწესებულებად დარჩეს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ანუ მერიის პოზიციაც დაფინანსების თაობაზე ჯერჯერობით გაურკვეველია.

სპარტაკ წიქარიძე ფიქრობს, რომ მერიაც არაფრით დაეხმარებათ, რაც საბოლოოდ დაღუპავს პანსიონს. უნდა გამოიყოს ერთი ფაქტი – სასწავლებელში მხოლოდ საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენებიდან გამოსული ეკონომიკურად გაჭირვებული, ხშირად ობოლი ბავშვები სწავლობენ. ისინი მუსიკის სწავლების თანხას თავად ვერ გადაიხდიან. ამიტომ, ბუნებრივია, მუსიკას ველარ დაეუფლებიან და ბევრი ტალანტი დაიღუპება.

არადა, სკოლა-პანსიონი წლების განმავლობაში ამზადებდა წამყვანი ორკესტრებისთვის კვალიფიციურ კადრებს. სასწავლებელში აღზრდილები საზღვარგარეთაც წარმატებით მოღვაწეობენ. თურმე, იაპონიაში ამ სკოლადამთავრებულის სახელობის სკოლაც კი დააარსეს.

„ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლის ირაკლი მელაშვილის თქმით, პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე მისულმა განათლების მინისტრის მოადგილემ – დიდებულიძემ განაცხადა, ეს სკოლა განათლების სამინისტროს არ ეკუთვნისო. „ნახეთ, სამინისტროს ვებ-გვერდი, 204-ე საჯარო სამუსიკო სკოლა-პანსიონი განათლების სამინისტროს ექვემდებარება. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა სასწავლო წლის ბოლომდე გაგრძელდეს დაფინანსება.

როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ? მხოლოდ მიმტანები და დამლაგებლები გვინდა? ასე გამოდის, რადგან ამ სასწავლებლის დახურვით ერთი პროფესია – მუსიკაც მოკვდება“, – თქვა მან.

ამბობენ, რომ 3 ჰექტრამდე მიწის ფართობზე განლაგებულ სკოლა-პანსიონს ვილაცამ თვალი დაადგა. დაფინანსების შეწყვეტა სკოლის საბოლოო ლიკვიდაციისთვის არის გამიზნული და ტერიტორიაც გასხვისდება...

**სერვისის ქვეყნად გადაქცევისთვის განწირულ საქართველოში კულტურა, ხელოვნება, მუსიკა აღარავის სჭირდება... ჩვენ კი ოფიციანტების ქვეყნად გადაქცევა გვემუქრება.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

# სპორტი

მომავალ შაბათ-კვირას სპორტის სასახლე ძიუდოისტთა დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება ახალგაზრდა ფალავანი ადამ ოქრუაშვილი, რომელმაც განსაკუთრებით შარშანდელი შედეგებით დაგვამახსოვრა თავი



## ფეხბურთი

# ჟამი ოფლისღვრისა



**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი) თურქული შეკრების პირველი საკონტროლო მატჩი „ტრაბზონსპორის“ თანატოლებთან წააგო 0:2 და დღეს თბილისის დროით 15 საათზე „არაკლისპორთან“ მოსინჯავს ძალებს.**

***ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ შემადგენლობა:*** თევდორაძე, ბენაშვილი (წულაძე), თომაშვილი, თოთაძე (ქვრივიშვილი), სანაია (შარანგია), ბუალავა, ხიდეშელი (დაუშვილი), კვასხვაძე (თარგამაძე), მჭედლიძე, ყენია, ჯანელიძე (სალარიძე).

აქვე გაუწყებთ წინასასეზონო სამზადისს პროგრამით ქართული კლუბების მონაწილეობით გამართული საწვრთნელი შეხვედრების შედეგებს: „ამერი“-„ოლიმპი- 1:0, „ზესტაფონი“-ქუთაისის „ტორპედო“ 1:0, „ვიტ ჯორჯია“-„ცხუმი“ 3:1 და 3:2.

## ხელბურთი

# გაიტანეთ გრენლანდია

**გერმანიაში დასრულდა ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპი, სადაც რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. განსაკუთრებული სიურპრიზი გახლდათ გათამაშებიდან უკრაინის ძლიერი გუნდის გამოთიშვა, აგრეთვე რუსების სუსტი თამაში, რომლებმაც მორიგ რაუნდში მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით გააღწიეს.**



**„ა“ ჯგუფი.** სლოვენია — 6, ტუნისი — 4, კუვეიტი — 2, გრენლანდია — 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ისლანდია, საფრანგეთი, უკრაინა — 4-4, ავსტრალია — 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** პოლონეთი — 6, გერმანია — 4, არგენტინა — 2, ბრაზილია — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ესპანეთი — 6, ჩეხეთი — 4, ეგვიპტე — 2, ყატარი — 0 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** უნგრეთი — 6, დანია — 4, ნორვეგია — 2, ანგოლა — 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** ხორვატეთი — 6, რუსეთი, კორეა — 3-3, მაროკო — 0 ქულა.

მეორე ეტაპზე ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება, საიდანაც ნახევარფინალში 2-2 უძლიერესი ნაკრები იასპარეზებს. სწორედ ისინი გაითამაშებენ ერთმანეთში „მუნდიალის“ მედლებს.

და ბოლოს, მიაქცევდით ალბათ ყურადღებას „ა“ ჯგუფის კვარტეტში გრენლანდიელთა გამოჩენას. სიმართლე გითხრათ, ჩვენც გვაინტერესებს, როგორ აღმოჩნდნენ კუნძულელები სახელბურთო ელიტაში. თუ რაიმე შევიტყვეთ, აუცილებლად გაცნობებთ.

## ჭადრაკი

# დაფასებაც იქნება

**ამას წინათ ახალგაზრდა დიდოსტატმა, თვრამეტწლიანებში ევროპის ჩემპიონმა მაკა ფურცელაძემ ტალინში პაულ კერესის მემორიალში პირველი ადგილი დაიკავა.**

ბალტიისპირეთიდან დაბრუნებულ ფურცელაძეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა რომან სიჭინავამ შეხვედრა მოუწყო — გამარჯვებულს ყვავილების თაიგული და სამახსოვრო სუვენირი გადასცა.

— წლის განმავლობაში ქართველი მოჭადრაკეები ათობით საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ და წარმატებითაც, — აღნიშნა ბატონმა რომანმა. — ეს არის ქართული საჭადრაკო სკოლის აღიარებაც, ამიტომ სპორტსმენებს ფედერაციისგან მეტი მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდებათ, რაც თითოეულ მათგანს მეტ სტიმულს მისცემს ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

წლეულს დიდოსტატი მერაბ გაგუნაშვილი ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირზე მთავარ პრიზს დაეუფლა. ქართველი მოჭადრაკე ამჟამად უცხოეთში იმყოფება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მასაც სათანადოდ შევხვდებით. გამარჯვებები იყოს და დაფასებაც არ დააყოვნებს.

ფედერაციის პრეზიდენტს სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ. „უპირველესად სახელმწიფო ვალი გვაქვს გასასტუმრებელი, — გვითხრა მან. — უკვე გამოვძებნეთ ამ პრობლემის მოგვარების გზები. ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს ახალგაზრდა მოჭადრაკეების ევროპისა (სექტემბერი, ხორვატეთი) და მსოფლიო (ნოემბერი, ანტალია) პირველობებზე გამგზავრებას, დრეზდენი აპრილში ქალ-ვაჟთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ხოლო მსგავსი გუნდური შეჯიბრება ოქტომბრის მიწურულს საბერძნეთში დაიწყება. ჩვენი მიზანია ამ მნიშვნელოვან ასპარეზობებზე წარმატებული გამოსვლა. საამისოდ კი ნორმალური მომზადებაა საჭირო. ვეცდებით, საამისო თანხებიც მოვიძიოთ“.

ჭადრაკის ფედერაციის ახალგაზრდა თავკაცმა საქმიანობა აქტიურად დაიწყო. იმედია, იგი დაპირებებსაც რეალობად აქცევს.

**თამარ გეჯაძე**



**სურათზე: რომან სიჭინავა და მაკა ფურცელაძე.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

## გუშინ

*მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის ბოლო ტურში ბოლნისის „სიონი“ ონიანისა და დარასელიას ზუსტი დარტყმებით სასურველი შედეგით — 2:0 უგებდა ბელგრადის ოფკ-ს, მაგრამ ბოლო წუთზე საბედისწერო გოლი გაუშვა — 2:1 და მეოთხედფინალს მიღმა დარჩა.*

## ორბიტაზე

# დელ პიეროს მე-500 მატჩი

**იტალიური „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ფანტასტიკური მე-500 მატჩის შემდეგ სახელგანთქმულ ფეხბურთელს ალესანდრო დელ პიეროს ახალი „ფიატის“ მაკეტი აჩუქეს, თუმცა, როგორც ამბობენ, თავად ახალი მოდელის ნამდვილ მანქანას ის შემოდგომაზე მიიღებს, როცა დაიწყება მისი, სერიული გამოშვება. ფეხბურთელმა ეს საზეიმო ამბავი მორიგი გოლით აღნიშნა. „იუვემ“ „ბარის“ მოუგო — 4:2.**

დელ პიერომ „იუვენტუსის“ მაისური 1993 წლის 12 სექტემბერს მოირგო, ერთი კვირის შემდეგ კი „რეჯინას“ კარში პირველი გოლი გაიტანა. ახლა ის გუნდის საუკეთესო ბომბარდირია — 204 გოლი, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშეა




— იტალიის ხუთგზის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, ევროპის სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. შარშან კი იტალიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მან ძალზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების კარში.

# მოდელები — რინგზე

**15 მარტს ლონდონში გაიმართება მოკრივეთა უჩვეულო ტურნირი — ამ დღეს რინგზე მხოლოდ ტოპ-მოდელები გამოვლენ. 14 ლამაზმანი უკვე ემზადება, რათა სათანადოდ მიტყეპონ თავიანთი მეტოქეები. ხომ იცით, ქალიშვილებს ძალზე ახარებთ, თუ კი ისინი სხვებზე ლამაზი და მიმზიდველები იქნებიან.**

ასე რომ, ტურნირზე მოხვედრილ მაყურებლებს მიმზიდველი სანახაობა ელით, ბილეთის ფასი კი 40 გირვანქა სტერლინგიდან იწყება. ადგილები უშუალოდ რინგთან კი 2500 გირვანქა ეღირება, რაც საშუალო სტატისტიკური ინგლისელისთვის არც თუ ცოტაა. თუმცა მოკრივე ლამაზმანებს ეს სულაც არ აწუხებთ.



## თაობა

**მომავალ შაბათ-კვირას სპორტის სასახლე ძიუდოისტთა დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება ახალგაზრდა ფალავანი ადამ ოქრუაშვილი, რომელმაც განსაკუთრებით შარშანდელი შედეგებით დაგვამახსოვრა თავი.**

დაიბადა 1989 წლის 1 იანვარს. ძიუდოში ვარჯიში დაიწყო 15 წლისამ შოთა ხაბარელისა და ბიძინა მოხევიშვილის ხელმძღვანელობით. 2004 წელს კადეტებში საქართველოს ჩემპიონი გახდა, კონტინენტის პირველობაზე კი მეორე ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს ახალგაზრდებში საქართველოს პირველობის გამარჯვებული ევროპელ თანატოლებთან პაექრობისას ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ქვეყნის ჩემპიონმა შარშან ეს ტიტული უფროსებშიც მოიპოვა. 2006 წელს ძიუდოისტთა ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირზე ყველას აჯობა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატსა და აბსოლუტურ პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა.

— ჭიდაობა მამამ შემაყვარა, — მითხრა **ადამ ოქრუაშვილმა,** — თავადაც ფალავანი გახლდათ — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში. 1983 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში გერმანელი ევროპის ჩემპიონი შტორი დაამარცხა და მხოლოდ გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო სახელოვან გრიგორი ვერიჩევთან. ისიც ვიცი, რომ წინა წელს მამა იაპონელ მსოფლიო ჩემპონ საიტოსაც შეხვედრია. ბატონ შოთა ხაბარელთან ერთად გამოდიოდა საქართველოს ნაკრებში, ჭიდაობა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და ეს სენი მეც გადმომდო. ახლა ტატამისა და კიმონოს გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია.

**— შენთვის ყველაზე წარმატებული 2006 წელი იყო. განსაკუთრებით რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდა?**

— უპირველესად, ცხადია, ჰოლანდიაში მსოფლიო თასის გათამაშება. ასეთ პრესტიჟულ ტურნირზე პირველად ვიჭიდავე უფროსებში. პირველ წრეში გერმანელი ფინცელბერგი დავამარცხე, მერე — უნგრელ ბარნა ბორს და რუს ბრიანოვს მოვუგე, ფინალში კიდევ ერთ უნგრელს — ხოლტან ძიუმადიარს ვძლიე და უცხოეთში ჩემი გამარჯვების აღსანიშნავად პირველად აჟღერდა საქართველოს ჰიმნი, რამაც საკუთარი ძალებისადმი რწმენა განმიმტკიცა.

# კვიცი — გვარზე



ასევე, მნიშვნელოვანი იყო ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ფრანგებთან წაგების შემდეგ წინა წლის ევროპის ჩემპიონს — ისრაელის გუნდს შევხვდით მესამე ადგილისთვის. ექვსმა ორთაბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. გადამწყვეტ პაექრობაში იპონით ვძლიე მეტოქეს და ბრინჯაოს მედლებიც ჩვენ დაგვრჩა.

**— სეზონის დაგვირგვინება, ალბათ, კონტინენტის აბსოლუტური პირველობა იყო...**

— ნოვი სადში (სერბეთი) ოთხი შეხვედრა გავმართე. პირველ წრეში მასპინძელი იბრო მილადინი ორი ვაზარით დავამარცხე. მეორე ორთაბრძოლას მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორ ბელარუს იური რიბაკთან თავიდანვე ვაზარით ვაგებდი, კინაღამ შებოჭვაზეც მოვყევი — ძლივს დავიძვრინე თავი. ბოლოს მაინც იპონით ვძლიე — მესამე რაუნდში ევროპის წინა წლის აბსოლუტურ ჩემპიონს ფრანგ მატიო ბატეს ვაჯობე, აი, ფინალში გადასასვლელი პაექრობა კი გამოცდილ უკრაინელ ფალავან ევგენი სოტნიკოვთან დავთმე და საბოლოოდ ესტონელ მარტინ პადარისთან ერთად ბრინჯაოს მედალი მერგო. ჩემპიონი გახდა რუსი ალექსანდრ მიხაილინი. გოგონებში თეა დონღუზაშვილი იყო უძლიერესი.

შარშან, მართლაც, წარმატებული სეზონი მქონდა. ეს ჩემი მწვრთნელების — შოთა ხაბარელის, ბიძინა მოხევიშვილის, ჯემალ ნათელაშვილისა და ბორის ფირცხელიანის დამსახურებაა. მათი დიდი მადლობელი ვარ.

**— სულ ჭიდაობაზე ხომ არ ვისაუბრებთ. ძიუდოს გარდა რა გიტაცებს?**

— მუსიკა, კალათბურთი. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ტელევიზორში NBA-ს თამაშებს ვუყურებ ხოლმე. ვქომაგობ მორაგბეებს. საქართველოს ნაკრებში ერთი ჩემი მეგობარიც თამაშობს. ძალიან გამიხარდა, ბორჯღალოსნებმა მსოფლიო თასზე გამოსვლის უფლება რომ მოიპოვეს.

მოცალეობის ჟამს ლექსებსაც ვკითხულობ. განსაკუთრებით ვაჟაფშაველას პოეზია მიყვარს. ბევრი მისი ლექსი ზეპირადაც ვიცი. ჩემს მოკრძალებულ ჯილდოებს შორის ვაჟას სურათსაც მივუჩინე ადგილი.

ერთიც მინდა დავძინო: წარმატებებს მწვრთნელებთან ერთად ქართულ ჭიდაობასაც ვუმადლი. სადაც ხელი მიმიწვდება, ნახერხმოყრილ სარბიელზე შეჯიბრებებს არ ვაცდენ. 2003 წელს წილკანში ღვთისმშობლობაზე დავიკავე პირველი ადგილი და ჭედილათი დამაჯილდოვეს. შარშანწინ ერთ შაბათ დღეს გურჯაანში ვიჭიდავე. იმავე საღამოს მე და მამა სენაკში გავემგზავრეთ და კვირას ნესტორ ესეუბას მემორიალში მეორე ადგილზე გავედი. შარშან პრეზიდენტის თასზე და ფალავნობაზეც მივიღე მონაწილეობა.

**— აღნაგობაზე გეტყობა, რომ მადიანი ჭამა გიყვარს. რომელ კერძებს ანიჭებ უპირატესობას?**

— როგორც მთიულს, ხინკალი მიყვარს ძალიან. საერთოდ კი, არც ერთ ქართულ კერძზე უარს არ ვამბობ.

**— მერე არ სუქდები?**

— მწვრთნელები იმდენს მავარჯიშებენ, რომ წონის დაკლება არ მიჭირს.

**— ცხოვრებაში ყველაზე მეტად რამ დაგწყვიტა გული?**

— სამი წლის წინათ დედა გარდამეცვალა. ჩემთვის ეს უდიდესი ტრაგედია იყო და სიცოცხლის ბოლომდე მოუშუშებელ იარად გამყვება. ბავშვობიდანვე დედის რამდენიმე ღერ თმას ვინახავ თილისმად. ყოველი შეჯიბრების წინ თანადგომას დედას ვთხოვ და ვგრძნობ, რომ მისი უხილავი ძალა მეხმარება...

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— კვირას თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მეორედ ვიასპარეზებ და ძალიან მინდა, მამაჩემის შედეგი გავაუმჯობესო. პეკინის 2008 წლის ლიცენზიისთვისაც ვიბრძოლებ. მართალია, სახელოვანი კონკურენტები მყავს ლაშა გუჯეჯიანისა და ზვიად ხანჯალიაშვილის სახით, მაგრამ მე ჩემსას ვეცდები და დანარჩენს ტურნირები გვიჩვენებს.

ესაუბრა

**ვაჟა დანელია**

„ჩემი სული და სიზმრები საქართველოს უკავშირდება. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სადაც უნდა ვიყო, ჩემი საქმიანობით ჩემი ქვეყნის, ჩემი თბილისის სამსახურში ვარ“



ვარსკვლავი

## თამარ გვერდწითელი:

# ჩემი სიზმრები საქართველოს უკავშირდება

**ცნობილი ქართველი მომღერალი თამრიკო გვერდწითელი უკვე რამდენიმე წელია რუსეთში მოღვაწეობს და რუსეთთან ერთად დიდი პოპულარობით სარგებლობს პარიზის შემოქმედებით საზოგადოებაში. რამდენიმე წლის წინ ქართველი მომღერალი პარიზელებს ფრანგმა კომპოზიტორმა მიშელ ლეგრანმა თავად წარუდგინა. საფრანგეთის დედაქალაქში „ოლიმპოს“ სცენაზე გრანდიოზული სოლო კონცერტის შემდეგ თამარ გვერდწითელს „რუსეთის ედიტ პიაფი“ უწოდეს. საერთაშორისოდ აღიარებული სამშობლოდან მოშორებით მცხოვრები შემოქმედი დღეს საქართველოზე, თბილისში სოლო კონცერტის გამართვაზე ოცნებობს და სამშობლოს მხოლოდ სიზმრებით უკავშირდება. „ჩემი სული და სიზმრები საქართველოს უკავშირდება. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სადაც უნდა ვიყო, ჩემი საქმიანობით ჩემი ქვეყნის, ჩემი თბილისის სამსახურში ვარ“ – აცხადებს თამრიკო გვერდწითელი. როგორც მომღერალმა გაგვანდო, თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მისი და მიშელ ლეგრანის ერთობლივი კონცერტი მაისში გაიმართება. ხუთწლიანი ოცნების ასრულებამდე კი თამარ გვერდწითელი გასტროლებს სხვადასხვა ქვეყნებში გეგმავს. მომღერალი პარიზიდან გუშინ დაბრუნდა. რუსეთის საელჩოში თამარ გვერდწითელმა სოლო კონცერტი გამართა.**



**– როგორ შეაფასებთ პარიზში ჩატარებულ კონცერტს?**

– ძველით ახალ წელს პარიზში რუსეთის საელჩოში ერთი კონცერტი ჩატარდა. ამდენად საკმაოდ კარგი ატმოსფერო იყო. კონცერტს ძალიან ბევრი ჩემი ფრანგი მეგობარი დაესწრო. მოხარული ვარ, რომ შევასრულე საუკეთესო ქართული და რუსული სიმღერები ჩემი რეპერტუარიდან. რაც შეეხება ფრანგულ თემას, შევასრულე ლეგრანის სიმღერები. მთლიანობაში მინდა ვთქვა, რომ ძალიან დადებითად დამუხტული დარბაზი დავტოვე. ახლა უკვე მოსკოვში ვარ და ჩვეულ რიტმში ცხოვრებას განვაგრძობ.

**– საქართველოში დიდ ინტერესს იწვევს მიშელ ლეგრანთან ერთად ჩატარებული კონცერტი. რამდენად არსებობს ფრანგ კომპოზიტორთან თანამშრომლობის პერსპექტივები?**

– პერსპექტივა ყოველთვის არსებობს და ვიმედოვნებ, რომ პროდიუსერები შეეცდებიან შესაბამისი პროექტი სათანადო მხატვრულ დონეზე განახორციელონ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ეს განხორციელდება და კონცერტი საქართველოს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ჩატარდება. ჩვენი ორკესტრის მხატვრული და პროფესიული დონის გათვალისწინებით, ეს მოთხოვნა აბსოლუტურად გასაგებია. შესაბამისად, პროდიუსერები შეეცდებიან, რომ პროექტის მხატვრული მხარე მოსკოვში გამართულ კონცერტზე ნაკლები მხატვრული ღირებულების არ იყოს. თუმცა სურვილი და იმედი მაქვს, რომ უკეთესი კონცერტი გაიმართება.

**– რას გვეტყვით თქვენს უახლოეს გეგმებზე?**

– განვაგრძობ თანამშრომლობას არნის თეატრთან. სპექტაკლი „ადამიანი ლამანჩიდან“ ჩემი თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვანი გზაა. ეს საკმაოდ წარმატებული სპექტაკლია, რომელიც მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. რასაკვირველია, დაგეგმილი მაქვს გასტროლები სხადასხვა ქვეყნებში დარბაზებში, რომელიც ერთი შეხედვით საკმაოდ დატვირთულია, მაგრამ ჩემთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და როგორც იტყვიან, ჩემი ცხოვრების რიტმია. ამჟამად, ვამთავრებ დისკის ჩაწერას კინ ბრიდლთან ერთად, რომელმაც ჩემთვის სპეციალურად დაწერა სიმღერები. მის შემოქმედებაში ლირიზმიც არის და აღელვებული განწყობილებაც. იგრძნობა დღევანდელი დღის მაჯისცემაც. უახლოეს მომავალში მაქვს სოლო კონცერტი სანკტ-პეტერბუგში, საკონცერტო დარბაზ „ოკტიაბრსკში“. შემდეგ როსტოვში, სტავროპოლში. შემდეგ ჩაწერა მაქვს ბრიუსელში, სადაც რამდენიმე ფრანგულ სიმღერას ჩავწერ.

**– როდის გეგმავთ საქართველოში კონცერტის გამართვას?**

– საქართველოსთან დაკავშირებულ გეგმებს რაც შეეხება, პირველ რიგში იმედი მაქვს, რომ მაისში ჩემი ჩაფიქრებული პროექტის განხორციელებას შევძლებთ და ლეგრანთან ერთად გავმართავ კონცერტს. ხუთი წელია ფირამონიის დიდ საკონცერტო დარბაზში არ მიმღერია. ეს კონცერტი ალბათ ფილარმონიაში ჩატარდება.

**– რევოლუციის შემდეგ საქართველოს მთავრობამ საზღვარგარეთ მოღვაწე არაერთ ხელოვანს შესთავაზა სამშობლოში დაბრუნება. თქვენ მიიღეთ ამგვარი შემოთავაზება?**

– ჩემი ცხოვრება ისე განვითარდა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება ძალიან დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. რასაკვირველია, ვინც მიიღო შესაბამისი მიწვევა და შეძლო მისი განხორციელება, მისასალმებელია. მაგრამ მე ვთვლი, რომ ვინც „დაბრუნება“ ვერ შეძლო, მაგრამ თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით საქართველოს დესპანობს, ესეც საკმაოდ დიდ საქმეა. ჩემი სული, სიზმრებიც კი საქართველოს უკავშირდება. საკმაოდ ძნელია წლების მანძილზე გაწერილ გეგმებზე უარის თქმა, მოგეხსენებათ, არსებობს ვალდებულებები, რომლებსაც შესრულება სჭირდება. თუმცა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სადაც უნდა ვიყო, ჩემი საქმიანობით ჩემი ქვეყნის, ჩემი თბილისის სამსახურში ვარ. სანამ ახლოს ვარ ჩემს სამშობლოსთან მიმაჩნია, რომ ჩემს ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა.

**– რამდენად აისახა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობა თქვენს შემოქმედებით მოღვაწეობაზე?**

– პირადად ჩემზე ამ ურთიერთობებს გავლენა არ ჰქონია. როგორც იტყვიან, მე „შემოქმედებითი ერთეული ვარ“. რუსეთში არ მაქვს ისეთი ბიზნესი, რომელიც მილიციის „აღელვებასა“ და დაინტერესებას გამოიწვევდა. როგორც მსახიობსა და მომღერალს არაფერი შემხებია, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ის, რაც ხდება, სასტიკად განიცადა რუსეთის ინტელიგენციამ. მათთვის მიუღებელია საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ გამოჩენილი სისასტიკე, არაადამიანური, არანორმალური დამოკიდებულება. ეს ყველაფერი ბოდვას გავს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ არსებული ვითარება საერთოდ არ შემხებია. წარმოიდგინეთ კრემლის საკონცერტო დარბაზი, რომელიც მაყურებელს ვერ იტევს. სცენაზე აღიარებული მაესტრო – მიშელ ლეგრანთან ერთად ვარ. აღფრთოვანებული მაყურებელი, ყვავილების ზღვა და დარბაზში ჩემი უახლოესი ადამიანებიდან არ არიან მამაჩემი და ძმა, რომლებმაც ვიზები ვერ მიიღეს. მორალურად ძალიან გთრგუნავს, როდესაც პოლიტიკა შენს რიგით თანამემამულეებს, იმ ადამიანებს ებრძვის, რომლებსაც არავისთვის არაფერი დაუშავებიათ. ვიმეორებ, იმის მიუხედავად, რომ პირადად არავინ შემხებია, მორალურად ძალიან დიდი დარტყმა მივიღე.

ისიც ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ რუს ხალხში არ არის ის დამოკიდებულება და ისტერია, რასაც ტელევიზიები აჩვენებენ. იცით რაშია საქმე?! ერთის მხრივ თითქოს არავინ გეხება, მეორეს მხრივ კი გეხებიან და თანაც როგორ. იმედი მაქვს, რომ ეს უსირცხვილო ნაბიჯები დასრულდება.

ესაუბრა
**მეგი კავთუაშვილი**
**ჯი-ეიჩ-ენი**

ნატურიდან

# შევარდნაძის უჩაიო ჭიქა

**ღვინოსა და არაყზე რა მოგახსენოთ, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის აწ უკვე აუგად სახსენებელ პირიოდში, ედუარდ შევარდნაძეს ჩაის წრუპვა რომ უყვარდა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ახლაც მახსოვს, პარტიულ ფორუმებზე მის ლიდერს, მაგიდასთან იჯდა თუ ტრიბუნიდან გვმოძღვრავდა, წინ ყოველთვის მწვანე ჩაით სავსე ჭიქა ედგა. ილაპარაკებდა, ილაპარაკებდა, მერე ოდნავ შეყოვნდებოდა და ყლუპყლუპად მოსვამდა.**

მას შემდეგ ხომ, რაც საერთაშორისო არენაზე ნაღვაწი პოლიტიკოსი მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა, ჩაი ისე შეიყვარა, ჭიქას ხელიდან ველარავინ გააგდებინებდა. თუმცა რა იცი, ბედის სიმუხთლე სად ჩაგისაფრდება. ჰოდა ისე მოხდა, რომ ერთ მზიან დღეს ბატონ ედუარდსაც დაესხა თავს, ჯიქურ მიეჭრა, საოცნებო ჭიქაც გააგდებინა და პრეზიდენტობაც.

თანაც ეს მოხდა მოულოდნელად, პარლამენტის ვრცელ და ნათელ დარბაზში, სადაც პრეზიდენტი ჩინურ ჩაის (უკაცრავად, ქართული სადღა იშოვებაძ აგემოვნებდა.

– გადადექი, გადადექი! – შეუძახეს პრეზიდენტს დარბაზში შემოვარდნილმა მისსავე აღზრდილებმა.

– მაცალეთ, ხალხო, რა გეჩქარებათ, ჩაის დავამთავრებ და გადავდგები.

– ჩაის ჩვენ დავლევთ, შენ გადადექი!

– მაშინ ჭიქა მაინც გამატანეთ, არ დამეკარგოს.

– ჭიქას შინ გამოგიგზავნით, – დააიმედეს, – და პრეზიდენტს ეჭვი რომ არ შეპარვოდა, შიგ ჩარჩენილი სითხე სტომაქში სულმოუთქმელად გადაუძახეს.

შეპირებით კი შეპირდნენ, მაგრამ სიტყვა აღარ შეასრულეს. ამის გამოა, რომ უფულოდ დარჩენილმა პრეზიდენტყოფილმა ჭიქის ყიდვა ველარ შეძლო და რახანია ჩაის პირდაპირ ჩაიდნიდან მიირთმევს.

საინტერესოა, სად უნდა გამქრალიყო ექსპრეზიდენტის ჭიქაყოფილი? სადა და თურმე აგერ გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ რედაქციაში არ იმალებოდა?

თუმცა როდემდე დაიმალებოდა. ისევე როგორც ბევრ სხვა რელიკვიას, ყოფილი პრეზიდენტის ყოფილ ჭიქასაც მიაგნეს და აუქციონზე გაყიდვა დაუპირეს.

ამას, რა თქმა უნდა, ბენდუქიძე არ იკადრებს – ამსიმსხოჩინოვნიკი ჭიქაზე ხომ არ დახურდავდება! ისე, კაცმა რომ თქვას, საამისოდ არცა სცალია – დედაქალაქში მიწის ზევით რაც იყო, ყველაფერი გააიმასქნა და ახლა მიწისქვეშა ფართობების გაყიდვაზე ჩალიჩობს.



მეტი რა გზა იყო, შევარდნაძის ჭიქის საუქციონო მენეჯერობა თავად გაზეთის რედაქციამ ითავა.

– რა ვქნათ, არ გვემეტება, – განაცხადა მისმა რედაქტორმა, – მაგრამ გაგვიჭირდა (მთავრობამ ათასი ჯურის გადასახადი დაგვიწესაძ და იძულებული ვართ, გავყიდოთ.

– რამდენად ყიდით? – იკითხა მისთვის ჩვეული ტკბილ-მწარე ღიმილით პრეზიდენტყოფილმა.

– ვნახოთ, რაც მეტად გაიყიდება, მით უკეთესი.

– ხალხო, ნამუსი აღარა გაქვთ, ჩემს საკუთრებას ყიდით და აღარც მეკითხებით?

– ცდებით, ბატონო ედუარდ, თქვენი ოდესღაც იყო, ახლა ჩვენია.

– როცა გაყიდით, თანხის ნახევარი მაინც მომეცით, სამაგიერო ჭიქას ვიყიდი, – თქვა საწყლად ყოფილმა მესაკუთრემ.

– ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს შეგპირდებით.

სიმართლე გითხრათ, ამის გამგონეს, პრეზიდენტყოფილი როგორღაც შემეცოდა. რა უნდა ქნას, გავიფიქრე, სასამართლოში რომ იჩივლოს, სიმართლეს მაინც ვერ იპოვის (რაც არ დაუტოვია, რას იპოვის!ძ.

ერთადერთი გამოსავალი სტრასბურგის სასამართლოა, მაგრამ გაბედავს კი იქ სარჩელის შეტანას?

უნდა გაბედოს. რისა ეშინია, ვერ გავიგე, ჭიქა აღარ შეარჩინეს და ჩაის საიდანღა დაულევენ?!

**ოტია ჩართოლანი**

გვწერენ

# მწარე ფორთოხალი

**ამ ორი დღის წინათ მეტრო „ახმეტელის თეატრის“ გვერდით მოქმედ „სახალხო ბანკში“ პენსია (48 ლარიძ ავიღე. ვიფიქრე, ვიდრე დამეხარჯება, პატარა სასუსნავ რამეს ვიყიდი-მეთქი და იქვე ახლოს მდებარე ბაზარში შევიარე.**

ბაზრის კიბეზე რომ ავდიოდი, ხელმარჯვნივ, დახლზე სახელდახელოდ გამოფენილი ფორთოხლისკენ გამექცა თვალი.

მოდი ვიყიდი, – გამიელვა თავში, – წელიწადში ერთხელ მაინც ხომ უნდა გავუსინჯო გემო დანატრებულ ციტრუსს.

– რა ღირს კილოგრამი? – ვკითხე ფორთოხლით მოვაჭრე ახალგაზრდა მამაკაცს.

– 2 ლარი, ბაბუ, – გინდა, აგიწონო?

– ჯანი გავარდეს, ამიწონე, თანაც კარგები შემირჩიე.

– კი, ბაბუ, კი, სულ სალსალამათს გაგატან, – დამაიმედა.

ფორთოხალი მსხვილი იყო (ეტყობა, საზღვარგარეთიდან შემოიტანესძ და სამ ცალზე მეტი არ აიწონა. რომ არ დაჟეჟილიყო, ფრთხილად ჩავაწყე ცელოფნის პარკში და შინისკენ წავცუნცულდი.

თურმე რას უფრთხილდები. რომ გავფცქვენი და გემო გავუსინჯე, ისეთი მწარე გამოდგა, პირიდან უმალ გადმოვყარე.

– ეჰ, ბედი არ გინდა, – ჩავილუღლუღე, – ერთხელ როგორღაც ფორთოხალი ვიყიდე და ისიც მწარე. იქნებ დანარჩენმა ორმა მაინც ივარგოს – გული არ გავიტეხე.

შენც არ მომიკვდე, დანარჩენებსაც მომჩვარული კანი ჰქონდათ, შიგთავსი კი გამომშრალი და მწარე.

ამ წერილს არც მოვიწერებოდი (რა აზრი აქვს, ფორთოხალი უკვე გადავყარეძ, მაგრამ იქნებ სხვა ჩემნაირმა წაიკითხოს და გაფრთხილდეს. ის არ გვეყოფა, მთავრობა რომ გვატყუებს (რაღაც გროშებს გვიგდებსძ, ახლა კიდევ ბაზარში მოვაჭრე თაღლითებმა არ გაგვაცურონ?

ნუთუ ბაზარს არავინ უნდა აკონტროლებდეს, იქაური ქორვაჭრები რა ხარისხის პროდუქციას ყიდიან? ისინი, როგორც წესი, წონაშიც გვატყუებენ, ხარისხშიც, გამკითხავი კი დღემდე არავინ გამოჩნდა. განა ასეთ „მოვაჭრეებს“ მწარე ფორთოხალში აღებული ფული (ისიც პენსიონერისგანძ შხამად არ უნდა შეერგოთ?

**მიშა ბუჩუკური,**
**პენსიონერი.**

№ 13. ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2007 წელი.

● საქართველოში რუსეთის საელჩოს ხელშეწყობით გამოცემულმა კრებულმა 20-წლიანი პაუზის შემდეგ მივიწყებული ტრადიციის აღდგენა შეძლო. ყველა ნომერში მკითხველს სიახლეები და გემრიელი საკითხავი ხვდება



⊙ გამოიცა

# „სამყაროს ჭიპი“ № 1 საჯარო სკოლაში

## ბერძნული ხალხური ზღაპრები – ქართულად

**საგამომცემლო ლიტერატურის განვითარების ფონდის ეგიდით გამოიცა ბერძნული ხალხური ზღაპრები. 15 ზღაპრის კრებული „სამყაროს ჭიპი“ ახალი ბერძნული ენიდან ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ბიზანტინისტიკისა და ნეოლინისტიკის სპეციალისტმა მაია კაკაშვილმა თარგმნა.**



**ბერძნული ზღაპრების პირველი თარგმანი საქართველოში საბერძნეთის საელჩოს თანადგომითა და დახმარებით გამოიცა.**

წიგნის წარდგინება თბილისის №1 საჯარო სკოლაში გაიმართა. იქვე, ფოიეში გამოიფინა ნანა იზორიას სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა სკულპტურული ნამუშევრები, რომლებიც ბერძნული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა მიხედვით შეიქმნა. ამ გარემომ კიდევ უფრო მიმზიდველად აქცია საღამო. ხოლო როდესაც თბილისის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ერთი ზღაპრის „ცულისა და იანოსის“ მიხედვით ბერძნულ ენაზე სპექტაკლი წარმოადგინეს, ბერძენმა სტუმრებმა და თავად საქართველოში საბერძნეთის ელჩმა **ელეფთერიოს ანგელოპულოსმ** აღტაცება ვეღარ დამალეს.

— №1 სკოლაში გამართული ეს საღამო, მართლაც, განსაკუთრებულია, — თქვა ელჩმა, — მაია კაკაშვილმა ბერძნული ზღაპრების მაგიურ სამყაროს აზიარა ქართველი მკითხველი. მისი დამსახურებით ქართული საზოგადოებრიობა ბერძნულ კულტურას უკეთ გაიცნობს.

ელჩმა მადლობა გადაუხადა არა მხოლოდ მთარგმნელს, არამედ ყველას, ვინც წიგნზე იმუშავა, უწინარესად — მხატვარს დალი მუხაძეს. მისმა მშვენიერმა ილუსტრაციებმა გამოცემა უდავოდ გაამდიდრა და განსაკუთრებულად ეროვნული ნიუანსი შესძინა.

მადლობას იმსახურებს წიგნის მხატვარი **დალი მუხაძე**, რომლის ილუსტრაციებმაც გაამდიდრა კრებული, აგრეთვე — წიგნის რედაქტორი, პოეტი **მარიამ წიკლაური-ძიძიგური**. ზღაპრები კომპიუტერულად უზრუნველყო **ირინე ამირიძემ**.

მარიამ წიკლაურის აზრით, წიგნის წარმატებას უწინარესად მთარგმნელის პროფესიონალიზმი განაპირობებს. მაგრამ საბერძნეთის ელჩის დაუხმარებლად იგი დღის სინათლეს ვერ იხილავდა: „სამაგალითოა თავად ელჩის დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის კულტურის მიმართ. იმის მიუხედავად, რომ ბერძნულ კულტურას გლობალიზაციის საშიშროება თითქმის არ ემუქრება, ბერძნები მაინც თავდაუზოგავად ილვწიან საკუთარი კულტურის პოპულარობისთვის. ეს ჩვენი ქვეყნის მესვეურთაც ყურად უნდა იღონ და მიბაძონ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას“, — თქვა მარიამ წიკლაურმა წიგნის წარდგინებაზე.

ბერძნული ხალხური ზღაპრების გამოცემა ბერძნულ-ქართული ურთიერთობების გზაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **რისმაგ გორდეზიანმა**.

თბილისის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა ლელა წიქარიშვილმა სკოლის ბერძნული ენისა და მითოლოგიის მასწავლებლის მაია კაკაშვილის სამეცნიერო-მთარგმნელობითი და პედაგოგიური საქმიანობის შეზავების უნიკალურობას გაუსვა ხაზი: „მაია ხიდია ჩვენს სკოლასა და საბერძნეთის საელჩოს, ასევე, ჩვენსა და უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს შორის. სკოლას ხშირად სტუმრობენ ჩვენი კოლეგები და საბერძნეთის ელჩი, რომელიც ჩვენი მოსწავლეების სპექტაკლებით აღფრთოვანებულია“.

№1 საჯარო სკოლა ბერძნული ენის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა საქართველოში. ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტი მაია კაკაშვილი ამ კერას ბურჯად უდგას. იგი საბერძნეთის რესპუბლიკაში, ბერძნული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად, სხვადასხვა უნივერსიტეტში არაერთხელ იყო წარგზავნილი. ონასისის სტიპენდიანტს წინ კვლავ ახალ-ახალი წარმატებები ელის. ელჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის საქმე, რასაც მაია ემსახურება, გამორჩეულ წვლილს შეიტანს საქართველო-საბერძნეთის სამომავლო ურთიერთობაში.

**თამარ შაიშმელაშვილი**

⊙ რუსულენოვანი ჟურნალის წარდგინება

# მხატვრული სიტყვა გვაახლოებდა და გვაახლოებს

**საქართველოს მწერალთა კავშირში ლიტერატურული ალმანახის** НА ХОЛМАХ ГРУЗИИ **(რომლის უცვლელი რედაქტორი და სულისჩამდგმელი საქართველოს რუსულენოვან ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი მიხეილ აიდინოვიაძ, რიგით მეოთხე ნომრის წარდგინება გაიმართა.**



საქართველოში რუსეთის საელჩოს ხელშეწყობით გამოცემულმა კრებულმა 20-წლიანი პაუზის შემდეგ მივიწყებული ტრადიციის აღდგენა შეძლო. ყველა ნომერში მკითხველს სიახლეები და გემრიელი საკითხავი ხვდება. რედაქტორისა და გამომცემელთა ძალისხმევით საზოგადოებას ლიტერატურული ცხოვრების დღევანდელობისა და განსხვავებულ ლიტერატურულ საზოგადოებათა წარმომადგენლების ნამუშევრების გაცნობის საშუალება მიეცათ, რაც დღესდღეობით დიდი იშვიათობაა.

მეოთხე ნომერი წინამორბედის მსგავსად გულდასმით შედგენილი და გემოვნებით გამოცემულია. არც ისე იოლია აურაცხელი მასალიდან ჭეშმარიტად ღირებულის ამორჩევა.

ამ მხრივ კოლოსალური სამუშაოს ჩატარების შემდეგ, რედაქტორმა მიხეილ აიდინოვმა მკითხველს არა მარტო ძველი, უკვე ცნობილი ავტორების შემოქმედებითი მაგალითები შესთავაზა, არამედ რამდენიმე ახალი სახელიც აღმოაჩინა როგორც თბილისში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მათ შორისაა ბათუმელი, ქუთაისელი, რუსთაველი ავტორები, წარმოიდგინეთ, შორეული გერმანიიდანაც კი.

ალმანახს საკუთარი საიტიც აქვს მსოფლიო აბლაბუდაში, Http://kholmygruzvi klamurke Com სადაც არა მხოლოდ აქ გამოქვეყნებული მასალების ნახვაა შესაძლებელი, არამედ ბოლო გამოცემის რეცენზიათა ხილვაც.

წარდგინებაზე სიტყვით გამოსულმა მიხეილ აიდინოვმა იმედი გამოთქვა, რომ კრებული კიდევ არაერთხელ შესთავაზებს ერთგულ მკითხველს ორიგინალურ და მრავალფეროვან საკითხავს, ხოლო გამოცემათა შუალედში მათ სამსახურშია გაზეთის ლიტერატურული დამატება „Русское Вече“ და „Парнас“.

ჩვეულებისამებრ გამომცემლობა „ტობალისის“ პირმშოს გასაცნობად გემოვნებიან მკითხველთან ერთად მწერალთა კავშირში საზოგადოებრივმა ელიტამ მოიყარა თავი: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ, მსოფლიო თანამემამულეთა საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ვალერი სვარჩუკმა, საქართველოს პარლამენტისა და ქალაქის საკრებულოს წევრებმა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, პოლიტოლოგებმა, საქართველოს ეროვნულ დიასპორათა ხელმძღვანელებმა (სომხური, აზერბაიჯანული, ებრაული, ბულგარული და ა.შ.ძ, შემოქმედებითი ორგანიზაციის წევრებმა, მწერლებმა, პოეტებმა და სხვ.

რედაქტორის მონაწილეობით ალმანახის ყოველი ნომრის წარდგინება ერთგვარი კულტურული დღესასწაულია.

ასე იყო იმ დღესაც.

**ნინო ბერძნიშვილი**



შპს „მაგთიკომი“ დიდი მწუხარებით იუწყება თანამშრომლების
ირაკლი ეჯიბაძისა
და
შოთა თურქიას
ტრაგიკული დაღუპვის შესახებ და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.



ნოდარ მიხაილოვი, გია ფირცხალავა, გივი მჟავანაძე, არჩილ კილაძე, დოდიკ მოისწრაფიშვილი, გურამ გველესიანი, ოთარ გაგუა, ვახტანგ მგელაძე, თამაზ ხომერიკი, ზაურ გომართელი, შალვა კვინტრაძე, ვლადიმერ ოდიშვილი, ლევან ოჟილაური ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გივი იროდიონის ძე ფაცურია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, 1975-90 წლებში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე
გივი იროდიონის ძე ფაცურია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

⊙ ინფორმაცია

# გაყალბებული დოკუმენტაციის მოკლე გზა

**ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ლანჩხუთში შპს „გზის მშენებლის“ დირექტორი სერგო კუკულაძე და მთავარი ბუღალტერი ელგუჯა ხელაძე დააკავეს. დაკავებულებს ბრალად ედებათ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის დამზადება-გაყალბება.**

შპს „გზის მშენებლის“ დირექტორს დაახლოებით გაყალბებული აქვს 40 ათასი ლარის ღირებულების დოკუმენტაცია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

⊙ მეზობლებთან

# ვარსკვლავები იაფად როდი ანათებდნენ საახალწლოდ...

**ჯორჯ მაიკლს ერთსაათიანი კონცერტი გაუმართავს რუსი ოლიგარქის ვლადიმერ პოტანინის მოსკოვგარე სახლში. მასპინძელმა 3 მილიონი დოლარი ჩაუყაჭა სტუმარს. კონცერტის დროს ხანძარი გაჩენილა, რასაც პლაზმური ეკრანი და რამდენიმე მუსიკალური საკრავი შეეწირა. მომღერალი არ დაშავებულა.**



საახალწლო სუფრაზე სხვა რუსეთელ მდიდრებს ჩააკითხეს ჰოლივუდელმა კომიკოსმა დენი დე ვიტომ, ყოფილმა ბონდმა — პირს ბროსნანმა და მუქკანიანმა ამერიკელმა პოპ-ვარსკვლავმა ბეიონსმა. რუსეთის დედაქალაქში გაბრწყინებისთვის უცხოელმა მნათობებმა მილიონნახევრიდან დაწყებული ორ მილიონამდე დოლარი ჩაიჯიბეს.

...ჩვენთან? ახალი ქართველები, ისე ჩანს, რუსეთელი კოლეგების შეგნებამდე (ან ქისამდეძ ჯერ არ ამაღლებულან და კერძო მოწვევებზე დოლარებითა თუ ევროებით არ იხარჯებიან. საამისოდ სახელმწიფო ხაზინა ირჯება. უკრაინელი რუსლანა, როგორც ამბობენ, 500 ათასი დოლარი დაჯდა ორიოდე წლის წინათ (გაიხსენეთ სიმღერის დროს რა ნაზად შესცქეროდა თვალებში პრეზიდენტსძ. კინაღამ ამდენივე დამჯდარა ამერიკელი ორმილიონდოლარგავიანი ჯენიფერ ლოპესი (ასეა დაზღვეული მისი უკანალი...ძ, მაგრამ გადავრჩით... 140-ათასიან „სტაფილო-ნაძვის ხეზე“ არაფერს ვამბობთ — უსულო საგანია და ვარსკვლავებში ვერ ჩაითვლება...

## დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2007 წლის 19 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ს.ს. იპ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ განცხადება აუქციონის შესახებ. სადაც მიღების შესახებ განცხადების ბოლო ვადა ნაცვლად. 2007 წლის 20 აპრილისა, უნდა იყოს 20 თებერვალი ხოლო აუქციონი გაიმართება 2007 წლის 21 თებერვალს.

**ტყის მასივის განადგურებით, წელიწადში სახელმწიფო, დაახლოებით, 88.4 მლნ. ლარის ზიანს იღებს, ნათქვამია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მასალებში**



## ◉ კინო

# კვირიკაძემ რიაზანოვს სცენარი დაუწერა

**გამოჩენილი რუსი კინორეჟისორი (ფილმები „საკარნავალო ღამე“, „ჰუსარული ბალადა“, „მოერიდე ავტომობილს“, „ბედის ირონია“, „გარაჟი“, „ვაგზალი ორისათვის“ და სხვა – სულ 24 სურათის ავტორი) 75 წლისთავზე ვლადიმერ პუტინმა მიიწვია (2002-შიძ.**

**იხსენებს ელდარ რიაზანოვი:**

– პრეზიდენტი მეკითხება, როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმებიო. ანდერსენზე მინდა გადაღება-მეთქი, ვუპასუხე. კარგი რამე შეიძლება გამოვიდეს და რა დაჯდებაო. სერიოზული თანხა დავუსახელე. დაფიქრდა და მერე მითხრა – დაგეხმარებითო...




შედეგად სცენარის წერა დავიწყე ირაკლი კვირიკაძესთან ერთად. მაგის თავი ხომ იმ განსაცვიფრებელი სიუჟეტების ნამდვილი ჭა არის, რომლებიც მეტწილად ქართული ბავშვობიდანაა ამოკრეფილი; მეშინოდა კიდევაც, ვაითუ ანდერსენიც ისეთი გახადოს, ცოტა მოაზრაგო-მეთქი... საბედნიეროდ, ერთმანეთს მალე შევეწყვეთ. ფილმში მე ის წმინდა პეტრედაც გამოვიყვანე, დიდ მეზღაპრეს რომ სამოთხეში უშვებს. რას იზამ, მე მგონია, რომ ირაკლი კვირიკაძე ჰგავს წმინდა პეტრეს...




**სპეციალისტთა აზრით, ელდარ რიაზანოვმა 24 კარგი და ერთი დიადი სურათი გადაიღო. ამ დიადს ჰქვია „ანდერსენი. ცხოვრება უსიყვარულოდ“. ფილმი ორ საათს გრძელდება და ბევრი მაყურებელი თურმე ორივე საათს ალტაცებით... ქვითინებს. ის შარშან, დეკემბრის ბოლოს გამოჩნდა რუსეთის ეკრანებზე.**

## ◉ ინფორმაცია

# სადღაა ის შრიალა ტყეები...

**საქართველოში ტყის ფონდის მიწებიდან, დაახლოებით, 370 ათასი ჰექტარი, არაოფიციალური მონაცემებით, გამეჩხერიანებული და განადგურებულია. სატყეო დარგის სტატისტიკიდან და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთ ჰექტარზე საშუალოდ 120 მ³ ტყეა განფენილი, ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტყის ფონდის მიწებიდან დაახლოებით 44,4 მლნ. მ³ ტყის მასივებია დეგრადირებული, გამეჩხერიანებული ან განადგურებული.**

„ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს ტყეების, დაახლოებით, 17 პროცენტი წიწვოვანია, ხოლო 48 პროცენტზე წიფელია გაშენებული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 7,5 მლნ. მ³ წიწვოვანი და 21,3 მლნ. მ³ წიფელის ტყის მასივებია გამეჩხერიანებული ან განადგურებული. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საქართველოში ტყითსარგებლობა ხორციელდება ძირითადად წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი, სოჭი) და წიფლის ტყის რესურსებით და შესაძლო ეკონომიკური ზიანის გაანგარიშებისას ჩვენც სწორედ ამ პოზიციით ვიხელმძღვანელებთ, – განაცხადეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

ტყის მასივის განადგურებით, წელიწადში სახელმწიფო, დაახლოებით, 88.4 მლნ. ლარის ზიანს იღებს, ნათქვამია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მასალებში.

# „უნახვრეტო“ ზეცა

**საქართველოს მთავრობამ „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოება-ტრანსპორტირების, იმპორტ-ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ დებულება დაამტკიცა.** ასევე, მიიღეს დადგენილება „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებული გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის „ოზონის ეროვნული ჯგუფის“ ხელმძღვანელმა მიხეილ თუშიშვილმა განაცხადა, რომ დადგენილება ქვეყნის ტერიტორიაზე ოზონდამშლელ ნივთიერებებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს.

**დადგენილება შესაბამისობაშია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მონრეალის ოქმთან.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ანეკდოტები

– გუშინ ზანგებთან ვიყავი საქმის გასარჩევად, – ეუბნება პეტკა ძმაკაცს.

– მერე?

– ხომ გაგიგია საჭადრაკო ტერმინი „თეთრები იწყებენ და იგებენ“?

– გამიგია.

– ჰოდა, იცოდე, ასეთი რამ მხოლოდ ჭადრაკში ხდება!

* * *



– ბიჭუნა, სახლში რამე დასალევი გაქვთ? – ეკითხება ივანიჩი ეზოში მოთამაშე პატარას.

– რა თქმა უნდა. ახლავე მოგიტანთ წყალს.

– ბიჭუნა, მე დასალევზე გელაპარაკები და არა დასაბანზე.

* * *

– თუ შეიძლება ეს სამი ცხვირსახოცი შემიხვიეთ, ცოლს უნდა ვაჩუქო.

– ალბათ, სიურპრიზი გინდათ გაუკეთოთ, არა?

– რა თქმა უნდა. ის ხომ წავის ქურქს ელის საჩუქრად.

* * *

– ეჰ, მე რომ თვითმფრინავის საყიდელი ფული მომცა!

– რა ჭირად გინდა თვითმფრინავი?

– თვითმფრინავი კი არა, მის საყიდლად სამყოფი ფული მინდა.

* * *

ფერმერმა საქორწინო გაზეთში განცხადება მოიტანა, ვინც ჩემ გოგოს ითხოვს, მზითევში კარგ მეწველ ძროხასაც მიიღებსო. განცხადების გამოქვეყნებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა მოსთხოვეს, თუ არადა, სიტყვების რაოდენობა შეამცირეთო. მანაც შეამცირა: „ვინც ჩემ გოგოზე დაქორწინდება, კარგ ძროხას მიიღებს“.

* * *

– რაბინოვიჩ, რად ამბობ ორმოცდაათისა ვარო, მაშინ, როდესაც ნაღდად ვიცი, რომ უკვე სამოცისა გახდი?

– ბოლო ათ წელს არ ვთვლი – ხუთი წელი ციხეში ვიჯექი, ხუთი კიდევ უმუშევარი ვეგდე.

– მერე რა, განა ეს ათი წელი არ ცხოვრობდი?

– ისე გეცხოვროს შენ!

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: გარდამეცვალა დეიდა, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა საზღვარგარეთ. მან მთელი თავისი ქონება მე დამიტოვა, ვინაიდან სხვა კანონიერი მემკვიდრე ცოცხალი აღარ ჰყავს. გთხოვთ, განმიმარტოთ, ჩემთვის მნიშვნელოვანი საკითხი, – რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება სამკვიდროს გახსნა საზღვარგარეთ, ჩემს შეკითხვაში აღნიშნულ შემთხვევაში?**

**მერაბ ბრეგვაძე**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1327-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.



* * *

**კითხვა: ვარ შრომის ვეტერანი, 75 წლის, პენსიონერი. დანიშნული მაქვს პენსია – 45 წლის შრომის საფასურად, – თვეში მხოლოდ 48 ლარის ოდენობით, გთხოვთ, განმიმარტოთ, მოქმედი კანონით მაქვს თუ არა ქალაქის ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება?**

**მამია ასანიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლებას, სამწუხაროდ, ვერ იპოვებთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ◉ ლარის კურსი

**24 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3145 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7137 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2304 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9666 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4702 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3935 ლარი. |

## ◉ კადრი



ზამთარი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.